ჩონგური საქართველოა, სიმღერა ჩვენ ვართ ყველანი!

ᲩᲝᲜᲒᲣᲠᲘ

სენაკის მუნიციპალიტეტის თავისუფალი გაზეთი

2018 წელი №12-13 ((9435-36) 16 ივნისი-15 ივლისი ფასი 80 თეთრი

მუნიციპალიტეტის მერიაში

ვიზიტი გერმანიაში

სახალხო უნივერსიტეტთა გერმანული ასოციაციის საერთაშორისო თანამშრომლობის ინსტიტუტის (DVV International) მიწვევით, სენაკის მუნიციპალიტეტის მერი ლევან კუპრეიშვილი და სენაკის სათემო განათლების ცენტრის დირექტორი ნონა ქადარია გაცვლითი ვიზიტით გერმანიაში იმყოფებოდნენ. სენაკის, წალენჯიხის, ახალციხის, ჩოხატაურის, ქედის, ამბროლაურის, თეთრიწყაროს, მარნეულისა და ლაგოდეხის წარმომადგენლები სხვადასხვა ქალაქებში

ყოველდღიურად ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს ხვდებოდნენ და გამოცდილებას იზიარებდნენ. ვიზიტის დასაწყისში, შეხვედრა გაიმართა ბავარიის პარლამენტის წევრებთან. დელეგატები ასევე იმყოფებოდნენ BMW-ს ცენტრში და ადგილზე გაეცნენ ავტომობილების წარმოების ევოლუციას. ზრდასრულთა განათლების სისტემის და სწავლების ევროპული კონცეფციის გაცნობის მიზნით, დელეგაციის წევრები ესტუმრნენ მიუნხენის ზრდასრულთა ცენტრს, რომელიც 10 ათას კვ.მ-ზეა გაშლილი და სწავლების მრავალი სფერო ფუნქციონირებს - ენების, სამოქალაქო განათლების, სპორტის, კულტურის, პოლიტიკის, კულინარიის და ა.შ. ადგილობრივი ხელისუფლების, ბიზნესის, განათლების ცენტრების წარმომადგენლებთან მრავალფეროვანი შეხვედრებით და გამოცდილებების ურთიერთგაზიარებებით დატვირთული ვიზიტი 30 ივნისამდე გაგრძელდა.

შეხვედრა საზაფხულო სკოლის მოსწავლეებთან

სენაკის მუნიციპალიტეტის მერი ლევან კუპრეიშვილი, მერიის სხდომათა დარბაზში, მუნიციპალიტეტის მერიისა და ნოქალაქევის ქართულ-ბრიტანული ექსპედიციის ერთობლივ პროექტში - „ინგლისური ენის შემსწავლელი საზაფხულო სკოლა" ჩართულ მოსწავლეებს შეხვდა. შეხვედრას მერის პირველი მოადგილე გრიგოლ ბაღათურია, საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი

დარეჯან ზარანდია და შესაბამისი სამსახურის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. აღნიშნული პროექტის ფარგლებში, , ერთი თვის განმავლობაში, სენაკის საჯარო და კერძო სკოლების უფროსკლასელებს ნოქალაქევის არქეოლოგიურ-არქიტექტურულ მუზეუმ-ნაკრძალში, ევროპის წამყვანი უმაღლესი სასწავლებლების პედაგოგები და სტუდენტები ჩაუტარებენ გაკვეთილებს ინგლისურ ენაში. ამასთან, იგეგმება სხვადასხვა აქტივობები - საზაფხულო სკოლის მოსწავლეებს საშუალება ექნებათ მონაწილეობა მიიღონ არქეოლოგიურ გათხრებში, ჩაუტარდებათ ტრენინგები არქეოლოგიაში, მოეწყობა ექსკურსიები სენაკელი და უცხოელი ახალგაზრდების ჩართულობით. ასევე, დაგეგმილია ამხანაგური მატჩი ფეხბურთში. მუნიციპალიტეტის მერმა ახალგაზრდებთან საუბრისას ხაზი გაუსვა პროექტის მნიშვნელობას, რაც ხელს შეუწყობს ინგლისური ენის ცოდნის გაღრმავებას, ნოქალაქევის არქეოლოგიური კომპლექსის, როგორც ჩვენი ქვეყნის უმნიშვნელოვანესი ისტორიული ცენტრის სიღრმისეულ შესწავლას და სენაკელი და ბრიტანელი ახალგაზრდების ინტეგრირებას, რაც, შესაძლოა, სამომავლოდ ერთობლივი ინიციატივების საფუძველი გახდეს.

ᲚᲢᲝᲚᲕᲘᲚᲗᲐ ᲓᲐᲜᲘᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲝᲑᲘ ᲛᲔᲠᲘᲐᲨᲘ

სენაკის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე გრიგოლ ბაღათურია, საერთაშორისო ორგანიზაცია ლტოლვილთა დანიის საბჭოს (DRC) სამხრეთ კავკასიის წარმომადგენლობის დირექტორს ვინსენტ ჟაკ ივ დონტოტს და დასავლეთ საქართველოს სამხარეო მენეჯერს მზევი ჯოჯუას შეხვდა. შეხვედრაზე თანამშრომლობის გზებსა და გეგმებზე და ახლო მომავალში ორგანიზაციის მიერ მუნიციპალიტეტში განსახორციელებელ პროგრამებსა და პროექტებზე ისაუბრეს. აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტში, ლტოლვილთა დანიის საბჭოს მიერ განხორციელდა დევნილთათვის მრავალსართულიანი საცხოვრებელი ბინების რეაბილიტაციის არაერთი პროექტი. მათ შორის: ჭყონდიდელის ქუჩაზე 35 ბინი-

ანი, სანაიას ქუჩაზე 45 ბინიანი, რუსთაველის ქუჩაზე 6 ბინიანი, მარჯანიშვილის ქუჩაზე მდებარე და სხვა საცხოვრებელი სახლების სრული რეაბილიტაცია. ამავე ორგანიზაციის პროექტის ფარგლებში რეაბილიტირდა ყოფილი სასტუმრო „ეგრისის" შენობა.

სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამის ფარგლებში

სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის ორგანიზებით, მოეწყო აგროტური საქართველოს სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ჯიღაურას მრავალწლოვანი კულტურების საკვლევ-სადემონსტრაციო ბაზასა და გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ თელეთის ყველის საწარმოში „თელეთი სენე". აგროტური განხორციელდა სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამის ფარგლებში, რომელიც მიზნად ისახავს სხვადასხვა რეგიონში აგრარული სექტორის გასაცნობად ფერმერებისა და ადმინისტრაციული ერთეულების სპეციალისტების გაყვანას. ჯიღაურას ხილისა და ვაზის სანერგე მეურნეობაში სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლებსა და ფერმერებს, მეურნეობის ისტორია, ვაზისა და ხეხილის ჯიშები და იქ მიმდინარე კვლევითი სამუშაოები გააცნეს მევენახეობისა და მეღვინეობის სამსახურის უფროსმა დავით ჩიჩუამ და მეხილეობის სამსახურის სპეციალისტმა ლაშა ციგრიაშვილმა. სანერგეში, რომელიც 54 ჰექტარზეა განთავსებული, ქართული ვაზის 437 და უცხოური ვაზის 350 ჯიში, ასევე, 300 სახეობის ხეხილოვანი, მათ შორის კურკოვანი და კენკროვანი კულტურაა გაშენებული. გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ თელეთში, ახალი ტექნოლოგიებით აღჭურვილ ყველის საწარმოში „თელეთი სენე" აგროტურის მონაწილეებს შეხვდა საწარმოს დამფუძნებელი ანა მიქაძე-ჩიკვაიძე, რომელიც ქართული ტრადიციული ყველის ნაირსახეობების წარმოების აღდგენაზე, ყველის უძველესი ტრადიციების ტექნოლოგიების შემსწავლელი სკოლის დაფუძნებაზე ესაუბრა სტუმრებს. საწარმო, რომელიც სურსათის უვნებლობის ყველა მოთხოვნას აკმაყოფილებს, ამზადებს ყველის ისეთ ნაირსახეობებს, როგორებიცაა: სულუგუნი, ხმელი სულუგუნი - ცვილში შენახული, ხმელი სულუგუნი- სანთელში შენახული, ხმელი სულუგუნი- ღვინოში შენახული, სულუგუნის ქისა - სვანური ტექნოლოგიით და ა. შ. აგროტურის ძირითადი მისია სოფლის მეურნეობის დარგში დაგროვილი გამოცდილებების ურთიერთგაზიარება, ურთიერთთანამშრომლობა, ერთობლივი სამომავლო პროექტების დასახვა და განხორციელებაა.

იუსტიციის სახლის მშენებლობა სენაკში

სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა ლევან კუპრეიშვილმა, მერის პირველმა მოადგილემ გრიგოლ ბაღათურიამ და შესაბამისი სამსახურის წარმომადგენლებმა ყოფილი ღვინის კომბინატის მიმდებარე ტერიტორიაზე, ელიავას 23-ში, იუსტიციის სახლის მშენებლობის პროცესი დაათვალიერეს. მათ ადგილზე განიხილეს მიმდინარე სამუშაოებთან დაკავშირებული საკითხები. აღსანიშნავია, რომ ამ ეტაპისთვის შენობის კარკასისა და საძირკვლის მოწყობა დასრულებულია და მიმდინარეობს გადახურვის სამუშაოები. სსიპ „იუსტიციის სახლის" სენაკის ფილიალის შენობა 587 კვ. მეტრი იქნება და 5965 კვ. მეტრის ტერიტორიაზე განთავსდება. პროექტის მიხედვით, რომელიც არქიტექტორ მიხეილ გიორგობიანს ეკუთვნის, იგი თავისი ინდივიდუალური სტილით ერთ-ერთი გამორჩეული ნაგებობა იქნება, რომელიც არქიტექტურულად და ფუნქციურად გაამშვენებს და ამასთან, გააფართოვებს ქალაქის არეალს. იუსტიციის სახლის კონცეფციის შესაბამისად, სენაკშიც სამოქალაქო და საჯარო რეესტრის სამსახურები ერთ სივრცეში მოექცევა. აქვე განთავსდება ქორწინების სახლი და სასწავლო ცენტრი. სახელმწიფო უწყებებისა და კერძო სექტორის 400-ზე მეტი სერვისის ერთ სივრცეში მიღებას სენაკელებიც შეძლებენ. იუსტიციის სახლის სამშენებლო სამუშაოები, რომელსაც ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული სს „იმერეთი" ახორციელებს, მიმდინარე წლის თებერვალში დაიწყო და დეკემბერში დასრულდება.

(გაგრძელება მეორე გვერდზე)

ვესაუბრებით ამომრჩევლებს

№64 სენაკის საოლქო საარჩევნო კომისიების წევრები მოხალისეებთან ერთად სენაკის მუნიციპალიტეტის მასშტაბით მოსახლეობას პირისპირ შეხვდნენ.

საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში მოქალაქეებს საკუთარი საარჩევნო უფლებების, საარჩევნო პროცესების, არჩევნების ისტორიის და საოლქო საარჩევნო კომისიების ფუნქცია/მოვალეობების შესახებ მიაწოდეს ინფორმაცია. მათ ასევე გადასცეს საინფორმაციო ბარათები 2018 წლის პრეზიდენტის არჩევნების და საარჩევნოადმინისტრაციისმიერ შეთავაზებული სერვისების შესახებ,მოისმინეს მათი მოსაზრებები.

საინფორმაციო კამპანია -„ვესაუბრებით ამომრჩევლებს“ განხორციელდა მიმდინარე წლის მაისის თვეში და რამდენიმე ეტაპს მოიცავდა. სენაკის მუნიციპალიტეტის ფოცხოს, ნოქალაქევის, ძველი სენაკის, ნოსირის თემებში და ქალაქ სენაკში გამართული გასვლითი შეხვედრების შემდეგ, გაიმართა საჯარო შეხვედრა ამომრჩევლებთან და ჩართულ მხარეებთან უშუალოდ სენაკის საოლქო საარჩევნო კომისიაში. კომისიაში ორგანიზებულ საჯარო შეხვედრაზე მოქალაქეებმა მიიღეს ინფორმაცია არჩევნების ისტორიის და პირველი საყოველთაო დემოკრატიული არჩევნების თაობაზე (პირველი დემოკრატიული არჩევნებიდან 100 წლის იუბილე). ასევე საარჩევნო ადმინისტრაციის განვითარების, მიღწევებისა და ამომრჩევლებისთვის შეთავაზებული სერვისების შესახებ. საოლქო საარჩევნო კომისიაში მისულმა მოქალაქეებმა წერილობით წარმოადგინეს საკუთარი მოსაზრებები.

საინფორმაციო კამპანიის განხორციელებით საარჩევნო ადმინისტრაცია მიზნად ისახავს კიდევ უფრო გაძლიერდეს კომუნიკაცია ამომრჩეველსა და საოლქო საარჩევნო კომისიებს შორის, მოხდეს მოქალაქეების საარჩევნო ცნობიერების ზრდა და ამომრჩეველს ჰქონდეს ინფორმაცია საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობის შესახებ.

№ 64 სენაკის
საოლქო-საარჩევნო კომისია

სიზმარია თუ ცხადი

ქრისტიანულ სამყაროში არ მოიძებნება წმინდანი,მოწამე ან ეკლესიის გამოჩენილი მოღვაწე, რომელიც თავისი სახელით წმინდა გიორგის უტოლდებოდეს.

წმინდა გიორგის სახელი ცნობილია ქრისტიანული ეკლესიის ყველა მიმართულებაში; აგრეთვე მაჰმადიანთა წმინდა წიგნის ყურანის კომენტარებშიც.

განსაკუთრებით წმ. გიორგი ცნობილია ჩვენთან საქართველოში. არც ერთი წმინდანის სახელზე არ მოიპოვება იმდენი ტაძარი,რამდენიც წმინდა გიორგის სახელზეა აგებული.

რატომ არის განთქმული წმინდა გიორგი? რით მოიხვეჭა მან ეს სახელი?

წმინდა გიორგი იყო ქრისტეს პირველი მორწმუნე, რომელმაც დაუფარავად აღიარა ქრისტე. იგი ღიად გამოვიდა ქრისტეს და ქრისტიანული რწმენის დასაცავად.როცა ხელისუფალთა წარმომადგენლებმა უთხრეს გიორგის: „რა გქვია, აწ, ვინ ხარ შენ, რომ ამდენი გაბედე ჩვენს წინაშეო? მიუგო მათ წმინდა გიორგიმ: „პირველი და რჩეული სახელი ჩემი არის ქრისტიანობა, ხოლო, რომელიც კაცთაგან მეწოდა არის „გიორგ“.

მას დიდხანს აწამებდნენ და ითხოვდნენ მისგან ქრისტეს უარყოფას, მაგრამ ვერაფერს გახდნენ.

წმ. გიორგი იყო მტკიცე და მოიპოვა გამარჯვება ეშმაკთან, ცდუნებასთან.

წმ. გიორგის ამბავი გავრცელდა მთელს მსოფლიოში და მრავალმა ხალხმა მის მაგალითზე ირწმუნა ქრისტიანობა. მრავალი წლის შემდეგ გაიგეს გიორგის ქართულ წარმომავლობაზეც-ქალდ-მეგრელობა, იბერ-ჯიბერელთა წარმომადგენლობა.

თვით სახელიც მეგრული წარმოშობისაა. გიორგის ლაზურ-მეგრულმა სახელმა, რაც ნიშნავს მიწათმოქმედს, მისცა სახელი საქართველოს (გეორგია).

წმ. გიორგის წმ. ნაწილები დადიანების მიერ იყო გადმოსვენებული იბერია-კოლხეთში და დღემდე ზუგდიდის დადიანების სასახლეში ინახება.

საქართველოში ბევრი საიდუმლოა დაფარული.

მოვლენა,რაზედაც მინდა გიამბოთ ამ შესავლის შემდეგ, უჩვეულო მაგრამ არა ერთადერთია,

გვასალიების გვარმა გადაწყვიტა მშობლიურ სოფელში კერძოდ სოფ. ხორშში აეგოთ საგვარეულო ეკლესია, ღვთის საყდარი. შექმნეს საგვარეულო ხატი, რა თქმა უნდა წმინდა გიორგის ხატი.

აღნიშნული ხატი უნდა დაბრძანებულიყო გვასალიების ყველა ოჯახში და ამ საღვთო მოგზაურობიდან ამჟამად ჩემს სახლში დაბრძანდა.

ამ ღვთიური განძის ჩემს ოჯახში დაბრძანებას მივუძღვენი ლექსი,რომელიც მინდა მკითხველსაც გვაცნო.

სიზმარია თუ ცხადი
სიზმარია თუ ცხადი
სახლში მობრძანდა ხატი,
თან მოაბრძანა უფლის
სიყვარული და მადლი.
ეს ღვთის ნებაა ალბათ,
წმინდად დალოცა სახლი,
მასში მცხოვრებლებს მისცა
იესოს მცნება ათი.
ამგვარ მოვლენას ერქმევა
ისეოს სულით ცხება,
ღღეიდან სახლში იმეფებს
იესოს მადლი და რწმენა.
დე, მუდამ ენთოს მათ გულში
ღვთიური, წმინდა სანთელი,
და უნათებდეს გზა-სავალს
იესოს სულის ნათელი.

მერი გვასალია

რედაქციისაგან: პუბლიკაციაში მოყვანილი ფაქტები ავტორისეულია.

ავთანდილ ჩარგაზია

ავთანდილ ჩარგაზია ცხოვრობდა ადამიანების თანადგომით და სიკეთის ქმნის სურვილით.

თვალისჩინივით უფრთხილდებოდა სულიერ და ზნეობრივ ღირებულებებს. კეთილშობილებით, პირადი მეობით წარსულის მემკვიდრეც იყო და მომავლის შემოქმედიც. ტრადიციების ერთგულებით, წიგნის სიყვარულით. გაზარდა შვილები. ამასვე უნერგავდა შვილიშვილებს.

ავთანდილ ჩარგაზიას ოჯახის კარი ყოველთვის ღია იყო მოკეთე-მოყვარისათვის, მეგობრისთვის. ავთომ იცოდა, რომ ამ ცხოვრებაში სხვასაც ბევრი რამ აქვს გადასატან-გასაძლები, ამიტომაც გულმხურვალედ უწვდიდა ხელს მასთან თანადგომის საძიებლად მოსულ ყველა პიროვნებას.

ენერგეტიკის სფეროში მოღვაწეობდა, მტკიცედ სწამდა, რომ მისი საქმიანობა სჭირდებოდა საზოგადოებას, ხალხს.

22 ივლისს 76 წელი შეუსრულდებოდა. ნაადრევად წავიდა ამქვეყნიური ცხოვრებიდან დიდ ტკივილი დაუტოვა მეუღლეს, შვილებს, დრომ ვერ გააფერმკრთალა მისი მონატრება.

ავთო ჩარგაზიას შთამომავლობა გაძლიერდა, გაფართოვდა, კიდევ ორი შვილიშვილი შეემატა ავთო ბაბუს სახელოვან შთამომავლობას მისი გარდაცვალების შემდეგ.

სიცოცხლე გრძელდება ავთანდილ ჩარგაზიას ოჯახში. კრიალოსნის მძივებივით იმარცვლებიან დღეები, წლები. წლებს თან მოჰყვება ბევრი სიხარული, ზოგჯერ წყენა და ტკივილიც... ხსოვნა კი უკვდავია, სახენათელი, ღიმილიანი კაცის ხსოვნა.

მეგობრები

საინფორმაციო ცენტრის თანამშრომლები თანაუგრძნობენ სენაკის №1 საჯარო სკოლის პედაგოგს იმა შარტავას ღედის

ეთერ შარტავას

გარდაცვალების გამო

სარედაქციო კოლეგია
მთავარი რედაქტორი: ნინო სართანია
რედაქტორი: მედეა ბაღათურია
კორესპონდენტები: მაია ბერგაია, მარიკა მიქაბერიძე
ეკონომიკური სამსახურის სპეციალისტი ჟულიეტა ჩაჩიბაია

რედაქციის მისამართი:
სენაკი, ჭავჭავაძის ქ. №103 ტელ: 27 61 50
რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით, არ გამოხატავს პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციის ინტერესებს
ინდექსი 66529

რეგისტრირებულია სენაკის სასამართლოში
რეგისტრაციის № 56/7-17
გაზეთი კომპიუტერზე მომზადდა და ოფსეტური წესით დაიბეჭდა ქ.ფოთში შპს „ირიდა„-ს სტამბაში
ქ.ფოთი წმ.ნინოს №4
ტელ: 0 (493) 22 24 33

მუნიციპალიტეტის მერიაში
(დასასრული)

საინფორმაციო შეხვედრა ზუგდიდის ტექნოპარკის წარმომადგენლებთან

27-29 ივნისს, ზუგდიდის ტექნოპარკში სტარტაპ კვირეულისთვის მზადებასთან დაკავშირებით, სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის სააქტო დარბაზში, მერიის წარმომადგენლებთან, სტარტაპ იდეების მქონე და საკუთარი ბიზნესის დაწყების მსურველ სენაკელ ინოვატორებთან საინფორმაციო შეხვედრა გამართა ზუგდიდის ტექნოპარკის მენეჯერმა ანუკი ასათიანმა. კვირეულის სამიზნე აუდიტორია სტარტაფები და საკუთარი ბიზნესის დაწყების მსურველი პირები იქნებიან. ღონისძიება მოიცავს სპიკერების 10 წუთიან გამოსვლებს და გამოფენას, სადაც მოეწყობა მონაწილე ორგანიზაციების საინფორმაციო და ვიზუალური მასალების კუთხე. მენეჯერმა ისაუბრა კვირეულის დიდ შესაძლებლობებზე დამწყები ბიზნესმენებისა და ინოვატორებისთვის იდეების განვითარების ხელშეწყობის და მათთვის ტექნოლოგიური ბაზის უზრუნველყოფის თვალსაზრისით. ღონისძებაში მონაწილეობის მსურველებს შეუძლიათ ეწვიონ ვებ-გვერდს: www.startupweek.ge და გაიარონ რეგისტრაციის მარტივი პროცედურა. აღსანიშნავია, რომ შეხვედრაზე, ათასწლეულის ინოვაციის კონკურსში გამარჯვებული ალექსი შუშანიას სახელობის სენაკის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის მოსწავლეთა გუნდის „სმართ ქიდსის" წევრებმა, მენტორ უტა კილასონიასთან ერთად, გამართეს პროექტ „გეოლოგიური საფრთხეებისა" და სხვა უახლესი პროექტების პრეზენტაცია. აქვე დაიბადა ტექნოპარკისა და სენაკელი ნორჩი გამომგონებლების სამომავლო ერთობლივი პროექტების განხორციელების იდეა.

ნატოჩაოს უბანში

ნატოჩაოს უბანში ქალაქ სენაკის მშვიდობის ქუჩაზე, ნატოჩაოს უბანში, გარე განათების ლამპიონების მონტაჟი დაიწყო. გარეგანათების ქსელის მოწყობის პროცესი დასრულდა ახალსოფლის ადმინისტრაციულ ერთეულში - კოსტავას ქუჩიდან საჯარო სკოლის მიმდებარე ტერიტორიის ჩათვლით. აღსანიშნავია, რომ ლამპიონების მოწყობის სამუშაოები ორივე უბანში დღემდე არ განხორციელებულა. სამუშაოებს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი მომსახურების ცენტრი აწარმოებს.

სენაკის თეატრის სრული რეაბილიტაცია აქტიურად მიმდინარეობს

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის - აკაკი ხორავას სახელობის სენაკის სახელმწიფო დრამატული თეატრის სრული რეაბილიტაცია აქტიურად მიმდინარეობს. მუშაობის პროცესს სენაკის მუნიციპალიტეტის მერი ლევან კუპრეიშვილი, მერის პირველი მოადგილე გრიგოლ ბაღათურია და შესაბამისი სამსახურის წარმომადგენლები ადგილზე გაეცნენ. რეაბილიტაცია, რომელიც ფონდ „ქართუს" მხარდაჭერით ხორციელდება, თავისი მასშტაბით უპრეცენდენტოა თეატრის ისტორიაში. შენობას ჩაუტარდა პირველადი აღდგენითი სამუშაოები. გამოიცვალა სახურავი, მოეწყო თბოიზოლაციის და სადრენაჟე სისტემები. დასრულებულია გათბობის, კონდიცირებისა და ვენტილაციის სისტემების მონტაჟი, სრულად განახლებულია ელექტროგაყვანილობა. ამ ეტაპზე დასრულდა რიგელების, სართულშუა გადახურვის ფილების, კიბის უჯრედების, ასევე, სვეტების ლითონის კონსტრუქციებით გამაგრების სამუშაოები. გამოიცვალა კარ-ფანჯრები. დასრულდა გარე ფასადის რეაბილიტაცია. სრულად უტარდება რეაბილიტაცია სცენის სივრცეს. დაწყებულია თეატრის უნიკალური მხატვრობის რესტავრირება, რომელზეც მხატვართა ჯგუფი მუშაობს. მიმდინარეობს შენობის შიდა ჭაღების და გარე ფასადის 6 დიდი სანათის რეაბილიტაცია, რომელთაგან 2008 წლის აგვისტოს დაბომბვების დროს სრულად განადგურებული ერთი სანათი ჩამოსხმულია და უახლოეს დღეებში დამონტაჟდება. მომდევნო ეტაპზე დაიწყება ასევე თანამედროვე სტანდარტების სასცენო განათებისა და აკუსტიკის სისტემების მონტაჟი. სენაკის სახელმწიფო პროფესიულ-დრამატული თეატრის შენობის სრული და ყოველმხრივი რეაბილიტაცია 2019 წელს დასრულდება, რომლის შემდეგაც იგი შეძლებს უმაღლესი სტანდარტების დაკმაყოფილებას და უმასპინძლებს საერთაშორისო დონის ფესტივალებსა და ღონისძიებებს. თეატრის შენობა, რომელიც ქვეყნის მასშტაბით გამორჩეულია თავისი არქიტექტორული, კულტურული და ისტორიული ღირებულებებით, 1953-59 წლებში დააპროექტა არქიტექტორმა ვახტანგ (ხუტა) გოგოლაძემ.

მუნიციპალიტეტის მერიის საზოგადოებასთან
ურთიერთობისა და საინფორმაციო
უზრუნველყოფის სამსახური

კოლხეთი-95
რეგიონალური მედია-გამოწვევები, პრობლემები

ნომრის საპატიო სტუმარია გაზეთ „სამტრედიის მაცნეს" მთავარი რედაქტორი ქალბატონი ქეთევან ჭელიძე.

„კოლხეთელებმა" გადავწყვიტეთ ქალბატონ ქეთევანისთვის რამდენიმე კითხვით მიგვემართა. ჩვენი საუბარი რეგიონალური მედიის პრობლემებს შეეხება. მომავალში უფრო აქტიურ თანამშრომლობას ვაპირებთ „სამტრედიის მაცნეს" რედაქციასთან, რაც ცალკეული ინფორმაციების გაცვლა-გამოცვლით, გამოცდილების გაზიარებით იქნება შესაძლებელი.

მადლობას ვუხდით ჩვენს კოლეგას ფრიად საჭირო რჩევებისა და კვალიფიციური, კომპეტენტური მოსაზრებებისათვის.

ქალბატონო ქეთევან, რა არის რეგიონალური მედიის ძირითადი გამოწვევა?

ასახო რეგიონის ცხოვრებაში არსებული ყველა აქტუალური საკითხი. როგორ ავსახავთ, ეს უკვე ჟურნალისტის პროფესიონალიზმსა და საკითხის მიმართ მის ობიექტურობაზეა დამოკიდებული. ვფიქრობ, რეგიონალური ჟურნალისტისთვის, მით უფრო, თუ იგი დამოუკიდებელ გაზეთში არ მუშაობს, არ არის ადვილი, ბალანსი შეინარჩუნოს. ჟურნალისტი ერთი რომელიმე მხარის პოზიციას არ უნდა გამოხატავდეს. მისთვის მთავარი სიტუაციის რეალური ასახვა და საზოგადოებამდე ასეთი ფორმით მიტანა უნდა წარმოადგენდეს. ვამბობ ხოლმე, ბეწვის ხიდზე გვიწევს გავლა-თქო. იმიტომ კი არა, რომ ვინმეს ვასიამოვნოთ, არამედ ისე არ ვთქვათ და დავწეროთ, გული ვატკინოთ. ფაქტის, მოვლენის მიმართ საზოგადოება ანტიპათიურად არ განვაწყოთ. თვით ცენზურა არ ნიშნავს სიტყვის თავისუფლების შეზღუდვას, პირველ რიგში, ეს მორალური და ეთიკური ნორმაა თითოეული ჩვენგანისთვის.

კომპიუტერულმა ტექნოლოგიებმა პრობლემები შეუქმნა ბეჭდვურ მედიას,ინტერნეტსივრცე სწრაფი და მეტი ინფორმაციის მოპოვების საშუალებას იძლევა, ამას დაუმატეთ მოსახლეობის სოციალური და ეკონომიკური პირობები, მათი გადინება ქვეყნიდან. მკითხველი რომ „დაამაგრო" ამას ფინანსებიც სჭირდება. ჟურნალისტი სულ უნდა მოძრაობდეს და პირველი იგებდეს ამბავს მკითხველამდე რომ მიიტანოს და გაზეთიც კითხვადი გახადოს. ფინანსების სიმწირე განსაზღვრავს იმას, რომ რეგიონალური მედია ხშირად ვერ ახერხებს ადგილობრივი მოსახლეობის პრობლემების ან, გნებავთ, სიკეთის გასაჯაროებას. ამასთან, არსებობს საზოგადოების დიდი ნაწილი, რომელიც გარკვეული მიზეზების გამო ცდილობს არ დააფიქსიროს თავისი აზრი. ასე რომ, რეგიონალურ მედიას ბევრი გამოწვევა აქვს, თუმცა, ჩვენ მაინც ვცოცხლობთ!

თქვენ მრავალი წელია ემსახურებით ჟურნალისტის პროფესიას, გქონიათ თუ არა უკმარისობის განცდა, რისი გაკეთება გინდოდათ, რა გააკეთეთ, რა ვერ შეძელით...?

– რა თქმა უნდა, უკმარისობის განცდა ყოველთვის არსებობს, როგორ კარგადაც არ უნდა აკეთებდე საქმეს. თვითკმაყოფილებით ტკბობა ნიშნავს, რომ ყველა შესაძლებლობა ამოწურე. 87 წლის „სამტრედიის მაცნე" მუდმივად ახლის ძიებაშია. ჩვენი და თქვენი გაზეთის სიჭარმაგეს ეს განსაზღვრავს. ვცდილობთ, ფეხი ავუწყოთ დროს და საზოგადოების ნებისმიერ ფენას აუცილებელი თემები მივაწოდოთ, საინტერესო ადამიანები მოვიძიოთ, პოლიტიკასა და რეგიონში მიმდინარე მოვლენებზე ვიკამათოთ, მათი აზრი განვავრცოთ. მაწუხებს ის, რომ ადგილობრივ დონეზე კომუნიკაცია თითქმის აღარ არსებობს სამართალდამცავებსა და ჟურნალისტებს შორის. მეტი თემებია საჭირო ეკონომიკის, ჯანდაცვის, განათლების საკითხებზე და ა. შ.

რამდენადაც ვიცით, ცენტრალურ მედიას ნაკლებად აინტერესებს „პროვინციული ამბები", თქვენი აზრით რა ჯობია, სენსაციური თემები თუ ისტორიას შემოვუნახოთ მუნიციპალიტეტში გამორჩეულ ადამიანთა სახეები(პედაგოგი, ექიმი თუ სხვა)?

– პროვინციული ამბები კვებავს და უფრო საინტერესოს ხდის მედიას. მის გარეშე წარმოუდგენელიც კი არის მისი არსებობა. სამწუხაროდ, როგორი კარგი გაზეთიც არ უნდა გააკეთო, რეგიონებშიც დედაქალაქის გაზეთები უფრო მოთხოვნადია. პოლიტიკური თუ სამართლებრივი თემების მასშტაბურობის, ცნობად სახეებზე მეტი ინფორმაციების მოპოვების გამო და სხვა. თუმცა, გასაღების ბაზარზე მათი რეალიზაციაც შემცირდა, ისევ და ისევ იმ პრობლემების გამო რომელზეც ზემოთ ვისაუბრეთ.

რა თქმა უნდა, ვწერთ წარმატებულ ადამიანებზე, რომლებიც თავიანთი ცხოვრების წესით, საქმიანობით, პროფესიონალიზმით სხვებს მაგალითებს აძლევენ. აუცილებლად უნდა ვწეროთ წარმატებულ ახალგაზრდებზე.

რაც შეეხება სენსაციურ თემებს, ვფიქრობ, რადაც დოზით ესეც უნდა იყოს. არ ვგულისხმობ ყვითელ ამბებს, მკითხველს მხოლოდ რომ იზიდავს და არაფერს უტოვებს. სენსაციური ამბები, რომლებიც თავისი შინაარსით და მასშტაბურობით მნიშვნელოვანია, კითხვადს ხდის გაზეთს.

თქვენ როგორ თვლით, სჭირდება თუ არა რეგიონალურ მედიას მეტი ყურადღება საზოგადოების, ხელისუფლების თუ ბიზნესის მხრიდან?

– პირველ რიგში, საზოგადოებამდე თვითონ მედია უნდა მივიდეს, მისი ნდობა მოიპოვოს. რადგან საბაზრო ეკონომიკის პირობებში, მედიის არსებობა -არარსებობას სხვა ფაქტორებიც განსაზღვრავს, სასურველია, მხარდაჭერა ჰქონდეს. მაგრამ ეს არ უნდა ხდებოდეს დამოუკიდებლობის დაკარგვის და მიკერძოების ფონზე.

რა არის საჭირო იმისათვის, რომ გაზეთი იყოს გაყიდვადი?

– ამაზე ძალიან ბევრს ვფიქრობ. თემების მრავალფეროვნება, ობიექტურობა, პროფესიონალიზმი და ფინანსები – ამ ყველაფრის ერთობლიობა, ალბათ, შესაძლებელს გახდის გაზეთი უფრო გაიყიდოს. დღევანდელ პირობებში ეს იოლი არ არის, მაგრამ კარგი მენეჯმენტის შემთხვევაში, ასე თუ ისე, შესაძლებელია.

ქალბატონო ქეთევან, რას უსურვებთ „კოლხეთს" და ქართველ ჟურნალისტებს?

– უპირველესად მადლობა თქვენს გაზეთს ინტერვიუსთვის. ვუსურვებ „კოლხეთს" მართალ გზაზე მართალი სიტყვით ევლოს, მკითხველი არ მოჭკლებოდეს, თემების სიუხვე ჰქონოდეს და დიდხანს ყოფილიყოს თავისი ხალხის სამსახურში. ქართველ ჟურნალისტებს კი – კარგ მოქართულეობას, ობიექტურობას, მიუკერძოებლობასა და წარმატებებს ვუსურვებ!

მოამზადა მაია ბერბაიამ

ვაჟა დანელია- ყურმოკრული ამბები
ტომარა ოქრო და დიდი წიგნები

XX-XXI საუკუნეების მიჯნაზე საქართველოში სწავლების ახალმა მიმართულებამ გაშალა ფრთები - „კითხვა და წერა კრიტიკული აზროვნებისთვის“ (ეტყობა, უწინ წერა და კითხვა დასაჩლუგებლად გამოიყენებოდა). მართალია, ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში იაკობ გოგებაშვილი „დედაენის“ წინასიტყვაობაში წერდა: „ჩვენ ვცდილობდით საკითხავ მასალას, ერთი მხრივ, ჰქონოდა რაც შეიძლება მომეტებული მიმზიდველი ძალა ბავშვებისათვის, რომ იგი ყოფილიყო მისთვის სავსე ინტერესით და, მეორე მხრივ, მის შინაარსს წარმოედგინა არა ღარიბი მასალა ბავშვის გონების გახსნისა და განვითარებისთვის“, მაგრამ გოგებაშვილი, აბა, იმდენს რას შეძლებდა, რომ ბავშვებს კრიტიკულად ეაზროვნათ...

იმ წელიწადს საქართველოს ერთი ჩია გამოხშირულწვერიანი ამერიკელი პროფესორი ეწვია სემინარების ჩასატარებლად, რომლებსაც კოჩიაც დაესრო. სტუმარს მაიკლი ერქვა. ჩვენამდე აფრიკაში უმოგზაურია, ახლა კავკასიელ პაპუასებს მოადგა განმანათლებლად. ჯერ კითხვა-წერის მნიშვნელობასა (მანამდე ეს საიდან უნდა გვცოდნოდა) და საწერ საშუალებებზე ილაპარაკა: თუკი ფურცლებს ვერ იშოვით, ეს პრობლემა არ არის: სახლში ძველი გაზეთი გექნებათ, ფანჯარაზე გააკარით, მზის სხივები ნაწერებს ამოჭამს და მერე იმ ქაღალდს საწერად გამოიყენებთ ან კედელზე ნახშირით მიაწერეთ (დამსწრეთაგან, კოჩიას გარდა, არავინ შემშუშნულა) თქვენი აზრი, რომ არ დაგავიწყდეთო. გალაკტიონისა და ასანთის კოლოფის ამბავი სცოდნია და გვეღადავებაო, გაიფიქრა კოჩიამ. მერე ვაკეში მეზობლად მცხოვრები მარო და ნახშირით კედლის მომხატავი მისი ვაჟი წარმოუდგა თვალწინ. ალალად შეეცოდა, პატარა მიხო.

ამასობაში სტუმარს დიდ წიგნებსა და მათს მნიშვნელობაზე დაუწყია თხრობა. გატაცებით ილაპარაკა, თუ როგორ მოსწონთ ბავშვებს დიდი წიგნები. განსაკუთრებით - ნახატებიანი, როგორ ვერ ელევიან მის კითხვას.

-თუ გადათვალიერებას? - ჩაილაპარაკა კოჩიამ, მაგრამ მისი რეპლიკისთვის ყურადღება არავის მიუქცევია.

ის იყო, გაბადრულმა სტუმარმა ჰაერი ხარბად შეისუნთქა, რომ კოჩიამ ხელი ასწია.

- ჩემ გვერდით ტომარას ხედავთ?

- რაო? - გაოცებისგან პირი დააღო უცხოელმა.

- ოქროთია სავსე ეს ტომარა,- სტუმრის დაბნეულობისთვის ყურადღება არ მიუქცევია კოჩიას.

- ვხედავ, ვხედავ! - ახლა ირონიული ღიმილი უპასუხა მაიკლმა. მის გამჭოლ მზერაში აშკარად იკითხებოდა - ეს კაცი ნორმალური არ უნდა იყოსო.

-150-მდე კილო ოქროა.

- მერე?

- გჩუქნით, წაიღეთ.

- ახლავე? - ვითომ ხუმრობაში აყოლა სცადა.

ფინალის მოლოდინში დარბაზი გაისუსა.

- დიახ, თორემ სხვები დაგასწრებენ.

- ვერ წავიღებ!

- რატომ?

- ვერ მოვერევი. - მაიკლმა ისევ სცადა გაღიმება.

- როგორ, ეს ხომ ოქროა!

- მაგრამ მძიმეა!

-ჰოდა, ასე მძიმეა პატარებისთვის თქვენ მიერ რეკომენდებული დიდი წიგნები, რომელთა ზიდვაში მოზარდებს ბებია-ბაბუები და მშობლები ურმებით ეხმარებიან და იგინებიან...

სტუმარი გაშრა.

ამ წიგნებს კი ყმაწვილები როგორი თავდავიწყებით კითხულობენ, მშობლებს ჰკითხეთ,- ეს უკვე თავისთვის ჩაილაპარაკა კოჩიამ.

მუსიკას დიდი ძალა აქვს

ღმერთმა მუსიკა საჩუქრად უბოძა ჩვენს გულს. მუსიკას დიდი ძალა აქვს, ის დიდ გავლენას ახდენს ჩვენს სულზე, გონებასა და სხეულზე. შეუძლია დაგვამშვიდოს, ძალა შეგვმატოს და კარგ ხასიათზე დაგვაყენოს. მუსიკის გარეშე ცხოვრება შეცდომა იქნებოდაო-ბრძანა გერმანელმა ფილოსოფოსმა ფრიდრიხ ნიცშემ. თანამედროვე მეცნიერებმა კი დაამატეს, რომ მუსიკა სასარგებლოა ჯანმრთელობისათვის, ხოლო სწორად შერჩეული მუსიკა კი ბავშვისა და მოზარდის გონებრივ განვითარებას უწყობს ხელს. სწორედ რომ ამის ნათელი დადასტურება იყო 25 ივნისს, სენაკის მუნიციპალიტეტის ხელოვნების ცენტრის სამუსიკო სკოლის სულხან ცინცაძის სახელობის დიდ საკონცერტო დარბაზში გამართული, რესპუბლიკური კონკურსების ლაურეატის, IX კლასის მოსწავლის ლიზი ხურციას სოლო კონცერტი (პედაგოგები ელენე ხოშტარია, ნათია შურღულაია) კონცერტში ლიზისთან ერთად მონაწილეობდნენ რესპუბლიკური და საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი, ამავე სკოლის კუსდამთავრებული ნიტა ვერულავა და საორკესტრო განყოფილების(ვიოლინო) IV კლასის მოსწავლე ქრისტინე ნინუა. გოგონებმა შეასრულეს შოპენის, გრიგის, მოცარტის, რუბენშტეინის... ნაწარმოებები და მაყურებელთა დიდი მოწონება დაიმსახურეს.

ლიზი ხურცია სენაკის მეშვიდე საჯარო სკოლის X კლასის წარჩინებული მოსწავლეა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროექტის „ჩემი პირველი კომპიუტერის” მიღების კანდიდატია. თავის მიღწევებზე საუბარი დიდად არ უყვარს. სასკოლო საგნებიდან ყველაზე მეტად უყვარს ფიზიკა. მუსიკაზე საუბრისას თვალები სულ სხვაგვარად უციმციმებს:

-„მუსიკას ჩემს ცხოვრებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს, დავამთავრე სახელოვნებო სკოლის ცხრაწლედი ფორტეპიანოს განხრით. ამჟამად საორკესტრო განყოფილების V კლასში ვარ ვიოლინოს განხრით. ჩემს წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვით ჩემს პედაგოგებს ელენე ხოშტარიასა და ნათია შურღულაიას.

პედაგოგები დადებითად ახასიათებენ ლიზის.

ნათია შურღულაია.- ლიზი ძალიან ჭკვიანი გოგონაა, ნიჭიერი, მონდომებული, მოწესრიგებული, მაღალი პასუხისმგებლობის მქონე, კომუნიკაბელური, გარდა იმისა რომ კარგად სწავლობს, არის მოსიყვარულე და მეგობრებსაც ძალიან უყვართ. მინდა გითხრათ, რომ ნებისმიერი პედაგოგისთვის სასურველია ასეთი მოსწავლის ყოლა.

***

2017-2018 სასწავლო წელი განსაკუთრებულად წარმატებული იყო ხელოვნების ცენტრის სამუსიკო საფორტეპიანო გამყოფილების II კლასის მოსწავლე დათუნა ჭანტურიასთვის. დეკემბრის თვეში გამართულ „ეტიუდების კონკურსში: ეტიუდების საუკეთესოდ შესრულებისათვის I პრემია მოიპოვა, მაისის თვეში კი პირველი ადგილი დაიკავა ვიქტორინაში. უფრო მეტიც, ვალერიან შიუკაშვილის მიერ დაარსებულ სენაკის არტ ფესტივალში, რომელიც აერთიანებს მთელ დასავლეთ საქართველოს, მოიპოვა „საპატიო დიპლომი”.

დათუნამ სასწავლო წელი წარმატებით დაასრულა და სოლო კონცერტით წარსდგა მსმენელების წინაშე, შეასრულა რვა საფორტეპიანო ნაწარმოები და დიდი მოწონება დაიმსახურა. დათუნას, როგორც პატარა პიანისტის ჩამოყალიბებაზე ზრუნავენ პედაგოგი ელენე ხოშტარია, თეორია-გრიალა სამინავა და ლამზირა ხურცია.

ქალბატონ ელენეს გამორჩეულად უყვარს დათუნა, მასზე ყოველთვის აღფრთოვანებით საუბრობს- „უკვე 43 წელია ვეწევი პედაგოგიურ მოღვაწეობას სენაკის სამუსიკო სკოლაში, რამდენი მოსწავლე მყოლია, მაგრამ ეს პატარა ვაჟკაცი ინდივიდუალიზმით გამოირჩევა, ის ძალიან მოწესრიგებული, ყურადღებიანი და მოკრძალებულია, არის თავისი ასაკისათვის ზედმეტად შრომისმოყვარეც კი.

თავიდან სამუსიკო სკოლის დირექტორმა ქალბატონმა რუსუდან მილიუტინმა შეგვახვედრა. დათუნამ მიიქცია ჩემი ყურადღება თავის ლამაზი, ჭკვიანი, მკვირცხლი თვალებით, მეორე წელია ჩემი მოსწავლეა და ეუფლება ფორტეპიანოსზე დაკვრას. მან I კლასი წარმატებით დაამთავრა, მაღალი შეფასებები დაიმსახურა სოლფეჯიოსა და მუსიკის მოსმენაში. დათუნას მშობლები, პროფესიით ექიმები ია ნიკურაძე და აკაკი ჭანტურია ყველანაირ პირობას უქმნიან შვილს, რათა ეზიაროს მუსიკის მადლს.

„კოლხეთის”რედაქცია ულოცავს ლიზის და დათუნას სასწავლო წლის წარმატებით დამთავრებას და უსურვებს ღირსეულ სვლას მუსიკის რთულ გზაზე.

მ. ეჯიბია

სიცოცხლე შემინარჩუნეს

გულის ავადმყოფობის გამო, სასწრაფოდან გადამიყვანეს თბილისში შ.პ.ს. კარდიოლოგიური კლინიკაში “გული“. ჩემს გადარჩენას არავინ ელოდა, მაგრამ სასიხარულოა, რომ კლინიკას ჰყავს დაუღალავი, ერთგული და დაუშრეტელი ენერგიის მქონე ადამიანი, ექიმ – კარდიოლოგი, ქალბატონი ინგა ჯანჯღავა. მან ყველაფერი იღონა ჩემს გადასარჩენად.

ქალბატონო ინგა! დაილოცოს თქვენი გული, თვალი და მოუღლელი მარჯვენა. მართლაცდა რამხელა შვებაა სატკივარის მორჩენა, ავადმყოფის გამოჯანმრთელება საამისოდ მხოლოდ ცოდნა როდი კმარა.. მკურნალს ალღო უნდა ჰქონდეს, რომ ავადმყოფობის მიზეზი ამოიცნოს და სნეულს შვება მოჰგვაროს. აფერუმ თქვენს ქალობას ქალბატონო ინგა. თქვენ სიცოცხლე შემინარჩუნეთ, მადლობა ყველაფრისთვის.

აქვე მინდა სიყვარულით ავღნიშნო ექიმები ხათუნა ქვილორია, მაკა ნაჭყებია ი. დავითაშვილი, გ. გეტმანკი, მედდა ირა გიქიაშვილი. მადლობა თქვენ, მთელი თქვენი ცხოვრება გფარავდეთ უფლის თვალი და მარიამ ღვთისმშობლის კალთა.

ბატონო ანზორ! როცა ასეთი მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით დაკომპლექტებულია თქვენი კლინიკა, ის მუდამ იქნება პრესტიჟული სამედიცინო დაწესებულებათა რიცხვში.

უფალმა დიდხანს მოგცეთ იმისი ჯანი და უნარი, რომ კვლავაც და კვლავაც ასე შემართული იდგეთ ადამიანთა ჯანმრთელობის სადარაჯოზე.

დაგლოცოთ უფალმა!

ლამარა კუპრეიშვილი-ტყებუჩავა

სპორტი
ძიუდო

სამეგრელო-ზემო სვანეთის ძიუდოს ფედერაციის ორგანიზებით მიმდინარე წლის 16-17 ივნისს მესტიაში გაიმართა ათენის ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორის, ნესტორ ხერგიანის სახელობის საერთაშორისო ტურნირი ჭიდაობა ძიუდოში, სადაც სენაკიდან მიწვეულნი იყვნენ ა(ა)იპ ძიუდო-სამბოს კლუბ „ავაზას” წევრები(დამფუძნებლები კობა ბოჯგუა, ელგუჯა გვასალია, თემურ ვახანია). აღნიშნულ შეჯიბრებაზე წარმატებით იასპარეზეს მათმა აღსაზრდელებმა: ალექსი გვასალიამ (46კგ) მეორე, ხოლო ტატო ფოტელიძემ (50 კგ) და გიორგი მირგატიამ(30 კგ) მესამე ადგილი დაიკავეს. აქვე აღსანიშნავია, რომ ამ უკანასკნელს გადაეცა საუკეთესო ტექნიკისათვის დაწესებული პრიზი.

ეს ამ კლუბის პირველი წარმატება არაა, რადგან სულ 30 მაისს კლუბის ერთ-ერთმა დამფუძნებელმა და ვეტერანმა სპორტსმენმა ელგუჯა გვასალიამ(90 კგ) მეორე ადგილი დაიკავა საქართველოს ძიუდოს ფედერაციის მიერ გამართულ ვეტერანთა ტურნირში. იგი 15 ივლისს მიწვეულია შოთა ჩოჩიშვილის სახელობის პირველ საერთაშორისო ტურნირში ვეტერანთა შორის.

აკაკი და სამეგრელო

ბედნიერებაა, რომ აკაკი წერეთელი როგორც სახალხო მგოსანი და ჭირისუფალი,ყავდა საქართველოს. ახალს ვერაფერს ვიტყვი. მისი ლირიკული სამყარო და ბუნება ჭეშმარიტად ღრმა ეროვნულობითა და თავისებურებებით გამორჩეოდა.სხვა პოეტებისაგან განსხვავებით, მას ახასიათებდა მკაფიოდ გამოკვეთილი ხალისიანი თვისება, წილნაყარი ბუნებრივ სათნოებასთან , იუმორთან, ადამიანურ სიფაქიზესთან .

ამიტომაც, აკაკის ფენომენის შემფასებლები განმარტავენ, რომ ის იყო ნასაზრდოები ზოგადნაციონალური ბუნების იშვიათი ხასიათით და ამ თვისებას ის ავლენდა სხვა ხალხთა კულტურის პატივისცემასა და განსაკუთრებით, საქართველოს მხარეში მცხოვრებ მოსახლეობასთან დამოკიდებულებაში.მან შეითვისა და შეისისხლხორცა საქართველოს ყოველი კუთხის ტრადიცია, დამახასიათებელი ყოფითი თვისებებით. სხვა შემოქმედნი ასე მაშტაბურად და სისავსით არ შეხებიან საყვარელი ერის მხარეთა სულის სიმებს.

ამიტომაც უყვარდათ და ესათუთებოდნენ მას, როგორც უზადო და მუსიკალური ჟღერადობის ტექსტების ავტორს,რომლის თითოეული სტროფი ლოცვასავით ამაღლებულია. საოცარი იყო აკაკის ადამიანური სიკეთე, სიბრძნე, სულის გამონათება. სინათლესავით გამჭვირვალე იყო მისი სხარტულები და თბილი იუმორი,გამოთქმული თითოეული ფრაზა მზის სხივივით მცხუნვარე და თეთრი ძაფით ნაქსოვი .

გამორჩეულია აკაკის დამოკიდებულება სამეგრელოსადმი. მკითხველს მოვაგონებ რამდენიმე ეპიზოდს იმ სასიამოვნო შემთხვევებიდან. პოეტის მგრძნობიარე ურთიერთობა კოლხეთის სანახებთან, არა მხოლოდ იმის გამო იყო, რომ აკაკის უმცროსი და მავრა (მატა) გამოთხოვილი იყო სოფელ ჯვარში და აკაკის სიძე გახლდათ თავადი ალექსანდრე დადიანი,რომელიც ერთ- ერთი ომის დროს ვაჟკაცურად დაიღუპა. მატასა და ალექსანდრეს ჰყავდათ ქალიშვილი- ანეტა დადიანი. შემდგომში ცნობილი მოღვაწე.აკაკი ხშირად დადიოდა ზუგდიდსა და ჯვარში. ესწრებოდა სიძის დასაფლავებას.

ამბობენ, ჯვარიდან მესტიისკენ მიმავალ გზაზე იდგა დიდი ხე, რომელსაც აკაკის ხეს უწოდებდნენ, რადგან სამეგრელოში სტუმრობისას ამ ხის ძირას ხშირად ისვენებდა მგოსანი. როცა ანეტას მშობლები დაეღუპნენ,აკაკიმ დისშვილი სხვიტორში წაიყვანა და იქიდან გაათხოვა ჯანსუღ დადეშქელიანზე, რომელიც ქუთაისის გუბერნიაში დიდ თანამდებობაზე მსახურობდა.

სამეგრელოში აკაკის სტუმრობა არა მხოლოდ დის ოჯახის მონახულებითა და მათზე ზრუნვით იყო გამოწვეული. მას, ისევე როგორც საქართველოს ყველა კუთხე, შავი ზღვა და მისი მიმდებარე კოლხეთის ბაღნარი იტაცებდა, აქ მცხოვრებთა სისხარტე, ერის სიმტკიცისადმი მათი ერთგულება და სულის სილაღე იზიდავდა, მზესავით კაშკაშად რომ ავლენდნენ სამეგრელოს მცხოვრებლები. სწორედ ამით იყო განპირობებული მისი განსაკუთრებული დამოკიდებულება კოლხური ფესვების მქონე ადამიანებისადმი. ეს იყვნენ : იონა მეუნარგია, თედო სახოკია, დიდი ნიკო დადიანი, (შალვას მამა) დუტუ მეგრელი, გიორგი ჭალადიდელი, ბეჭდაუდებელი ნესტორ ესებუა და სხვები.

1873 წელს აკაკიმ წამოაყენა წინადადება სამეგრელოში გახსნილიყო წერა- კითხვის გამავრცელებელი სკოლა. 1884 წელს ხორცი შეესხა ამ ინიციატივას. ძველ სენაკში დაფუძნდა ქუთაისის სკოლის ფილიალი,რომლის გახსნას ესწრებოდნენ:აკაკი წერეთელი ,სახელოვანი დიმიტრი ყიფიანი, პოეტი და პუბლიცისტი ნიკო დადიანი და სხვა ცნობილი მოღვაწეები. სკოლის კურთხევაზე აკაკიმ წარმოსთქვა სიტყვა და შესანიშნავად ჩამოაყალიბა სწავლის მნიშვნელობა და ქართველობის იდეა:„ ვალდებულნი ვართ შევისწავლოთ ჩვენი წარსული, გავიცნოთ ჩვენი მამა-პაპანი და მათი ღვაწლი, არავითარი გონიერება ამას წინ არ აღუდგება !... ის,ვინც თავისი ვინაობა არ იცის და თავის თავს ვერ იცნობს, სხვას როგორღა შეისწავლის?... საჭიროა, რომ მარტო აწმყოზე არ შევჩერდეთ.ეს აგვამაღლებს ზნეობრივად,აგვევსება გული სიმართლითა და სიყვარულით... მაშინ შეგვეძლება ის სიყვარული სხვასაც გავუზიაროთ: ვინც გვეძებს- ვეძმოთ“.- ამბობს მგოსანი და ვრცელ სიტყვას ამთავრებს შემდეგი სიტყვებით: „იმ ახალ ტაძარში,რომელსაც ჩვენ სასწავლებელს ვეძახით და ერთი რომელთაგანი დღეს აქ ვაკურთხეთ.,დიაღ,აქ უნდა შეისწავლონ ჩვენმა შვილებმა თავისი თავი და მიხვდნენ, რომ საქართველოს სხვადასხვა კუთხის მცხოვრებნი ძმები ვართ, სამის ძლიერის, უხრწნელის კავშირით საუკუნოდ შეხორცებული. ვიმეორებ, აქ, ამ სკოლაში მიხვდება იმერელი, რომ ის კერძოდ იმერელია, მაგრამ საზოგადოდ კი იგივე ქართველი,აქ გაიგებს მეგრელი,რომ კერძოდ ის მეგრელია,თავისი საკუთარი ფერის მქონი, მაგრამ საზოგადოდ ის ძირეულად ქართველია და თავის კერძო მეგრელობით აფერადებს ქართველობას “.

დასახელებულ სასწავლებელში შემდგომში დაწყებითი განათლება მიიღეს : აკადემიკოსებმა :კონსტანტინე გამსახურდიამ, არნოლდ ჩიქობავამ, ვარლამ თოფურიამ, სიმონ ჯანაშიამ, პეტრე ქავთარაძემ და სხვებმა .

საინტერესო და ყურადსაღებია აკაკის განმარტება მეგრული ენის ფენომენისადმი. დიდი მოაზროვნე ხაზს უსვამს რომ მეგრული დიდებული ენაა და მოუწოდებს მისი შესწავლის და დაცვისაკენ :„ მეგრულ ენაში შენახულია ობოლ მარგალიტებად ის ძველი სიტყვები.ჩვენ ვურჩევთ მწერლებ- მწიგნობრებს, მეტი ყურადღება მიაქციონ მეგრულს,რომ იქიდან ამოკრებილი სიტყვებით შეავსონ დღეს შელახული ქართული ლექსიკონი “.

საინტერესოა ფაქტია:გადმოცემით,თურმე აკაკის მეგრულად წარმოუთქვამს ლექსის ერთი სტროფი. უნიჭიერესი ადამიანისაგან ეს გასაკვირი არც შეიძლება იყოს. თუმცა ფაქტი იმაზე მიანიშნებს, რომ იგი განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდა სამეგრელოს მცხოვრებთა ყოფისა და მათი ადათ-წესებისადმი.არსებობს ერთი ლამაზი ისტორია: თურმე სენაკელ ვაჟს შეყვარებია კოლხი ასული ცირა(ზისნახე),რომელიც არ გამოხატავდა ვაჟისადმი თანაგრძნობას. გაწბილებული ვაჟი საგონებელში ჩავარდნილა. ბევრი ფიქრის შემდეგ წვევია მგოსანს და უთხოვნია დახმარებოდა სამიჯნურო ლექსის დაწერაში, რომ ამით მოეხერხებინა სატრფოს გულის მოგება. აკაკის როგორც სჩვეოდა ხალისით გაუწევია დახმარება და მეგრულად შემდეგი შინაარსის სტროფები შეუთავაზებია თავდავიწყებოთ შეყვარებული ვაჟისთვის:

„ სქანი თოლი ჩქიმი სარკე, სქანი გური ჩქიმი ტახტი,
უსქანეთი ჩქიმი რინა, ციხე რე ნდო ნაუბახტი “

ანუ

„ შენი თვალი ჩემი სარკე, შენი გული ჩემი ხატი,
უშენობით ჩემი ყოფნა, ციხეა და „ გაუბახტი“.

განსაკუთრებულია აკაკის დამოკიდებულება ბეჭდაუდებელი ნესტორ ესებუასადმი. ნესტორი ძველი სენაკის მკვიდრი იყო,დევის ძალის მქონე და ჭიდაობის ნამდვილი ფალავანი. მან ჯერ საქართველოში, შემდეგ თურქეთში და პარიზში მიწვეულმა 20-ზე მეტი შეჭიდება გამართა და ყველა შეხვედრაზე ტატამზე ბეჭებით გააკრა მოწინააღმდეგე. უბადლო ფალავნობით ისე გაითქვა სახელი, რომ ოთხჯერ შეარკინეს თბილისელ კულა გლდანელს და ოთხივეჯერ დაამარცხა იგი.

1886 წელს იტალიის ბაღში, ორი გოლიათის შერკინებას ესწრებოდა აკაკი წერეთელიც, რომელიც ისე აღფრთოვანდა ნესტორ ესებუას შემართებით,რომ მას მიუძღვნა ვრცელი ლექსი და კიდევ ერთხელ გამოხატა აღტაცება მორკინალისადმი სამეგრელოდან .

„მეორე მხრიდან მეგრელი, გამოძვრა როგორც ტურაო,
რომ დაინახა გლდანელი, ლომივით მიაშურაო., ...“
მივარდა, გულში ხელი ჰკრა ბურთივით გააგორაო,
ვეფხვივით ზურგზე დაახტა, დათვივით მოიტორაო “.

არაერთ სხვა საინტერესო და უცნაურ ამბავს უკავშირებენ აკაკის სახელს. საქვეყნოდაა ცნობილი,რომ ის გახლდათ ენამოსწრებული და ქალბატონების გულთამყრობელი. ამჯერად გიამბობთ ამბავს, რომელიც დაკავშირებულია მისი შესანიშნავი ლექსის„ ციცინათელა“-ს შექმნასთან:სამეგრელოს გულში,ეგრისის სამეფოს ნაფუძარზე - ახალ სენაკში,აკაკი საპატიო სტუმარად მიიწვიეს ქალაქის პრისტავის, ნიკო დგებუაძის სახლში. სტუმრებს შორის იყვნენ გამორჩეული სენაკელები,მათ შორის სავაჭრო ქსელის მქონე და შავ ზღვაში გემის პატრონი, გილდ- ვაჭარი ალექსანდრე ჭანტურია მეუღლითურთ-მშვენიერი ელისაბედ(ელო)ბედიას თანხლებით. ელო უმშვენიერესი ქალბატონი გახლდათ, რომელსაც ოდესაში გამართულ სილამაზის კონკურსში ჰქონდა მიღებული მონაწილეობა.

საღამო ძალიან მხიარული გამოდგა. ლექსებით,იუმორით,შაირებით გალაღებული. ელო ბედიას მგოსნისთვის მეგრული ლექსით მიუმართავს, რომელიც ქართულად ასე ჟღერს.

„ სინათლეო, ელვის დარო, შენ ხარ ჩვენი გულის ვარდი,
ნახვა შენი ისე გვკლავს, რომ დაგველიოს გინდაც ბანგი. “

მგოსანმა თურმე სახელდახელოდ, მეგრულად მიუძღვნა საპასუხო სტროფები ელო „ზისნახეს“ . ამ მოულოდნელობას ტაში და მხიარულება მოჰყვა. აკაკის მიერ მეგრულად წარმოთქმული და ზემოთ მოტანილი ლექსი, მან არა სენაკელ შეყვარებულ ვაჟს ასწავლა, არამედ ელოს საპასუხოდ წარმოსთქვა . ამას ადასტურებენ წვეულებაზე მყოფი სტუმრების შთამომავლები.

უფრო მეტიც,აკაკი იმდენად მოხიბლულა ახალგაზრდა ქალბატონით,მგოსანს ხელსახოცზე დაუწერია ბწკარები და ელოსთვის ჩუმად მიუცია, სადაც ეწერა:

„ ჩემო ციცინათელა! რად მიფრენ ნელ- ნელა ?
შენმა შორით ნათებამ, დამწვა და დამანელა
ანათებ და კარგი ხარ, მე თუმცა არას მარგიხარ!
ჩემი იყო ,ის მინდა , შენ კი სხვისი ვარდი ხარ.“
ეძღვნება ლიზი . ბ

ეტყობა ნაღვინევს ვერ მოაგონდა ელოს სახელი და ლიზი დააწერა, თუმცა ბ. აღმნიშვნელია ქალბატონის გვარისა - ბედია. ელოს შთამომავლები ამბობენ , რომ აკაკის სურათი ქალბატონის ღრმა მოხუცებულობამდე ეკიდა საძინებელ ოთახში, ხოლო, ხელსახოცი მწერლის წარწერით, აკაკის 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით გააგზავნეს მწერალთა კავშირში და შემდგომ მისი ბედი არ იციან.

მკვლევარები აღნიშნავენ, რომ ლექსი „ ციცინათელა “ აკაკიმ ადრე დაწერა, როცა ელო პატარა იყო და იგი არ შეიძლება მიეძღვნა მშვენიერი კოლხი ასულისადმი. თუმცა ფაქტია, რომ ამ ლექსის საუკეთესო ბწკარები „ გაიმეტა “ მშვენიერი ქალბატონისთვის.

განსაკუთრებული პატივი იყო აკაკის მიბრძანება ზუგდიდში,დადიანების სასახლეში. მისი ურთიერობა სალომე დადიან- მიურატთან და პრინც ნიკო ნიკოს -ძე დადიანთან. 1896 წელს მგოსანი ესწრებოდა საფრანგეთის პრინცის, აშილ მიურატის გარდაცვალების წლისთავს ჭკადუასში. სახალხო პოეტმა იქ ბრძანა ვრცელი, დიდებული და მარად დასამახსოვრებელი სიტყვები. შეამკო აშილის ღვაწლი საქართველოსა და საფრანგეთს შორის ურთიერთობის საკითხში და ხაზი გაუსვა სამეგრელოს ღირსებას. „ აბა თუ ვინმე იმას იტყვის, რომ მეგრელებს ან სიტყვით, ან საქმით მიეცესო საბუთი, რომ ჩვენ ვსთქვათ : ისინი აღარ ქართველობენო, პირიქით... ქართველობა მით უფრო ეტყობათ, ჩვენს საზოგადო საქმეში მეტი მონაწილეობას ისინი იღებენ, ქართულ ჟურნალ- გაზეთებს ისინი მეტს იწერენ, წიგნებს სამეგრელოში მეტი გასავალი აქვს, ვიდრე საქართველოს სხვა კუთხეებში და საერთო საქმის თანამდგომნი არიან” ... ბოლოს კი ასე ამთავრებს თავის მგრძნობიარე სიტყვებს- „მე ახლა, როცა თქვენს წინაშე ვდგევარ, თქვენებური, მეგრული ღიღინით მახსენდება:

„ ყელსაბამო მარგალიტო, ნეტავ მარად ჩემთან იყო !

ნამეტანი სიყვარულით მეშინია არ ჩაგკვნიტო „
დარწმუნებული ვარ,იგი მარად ამ სიტყვებს გულწრფელად გაიმეორებდა.

სამეგრელოს მოსახლეობის გულწრფელი პატივისცემა მგოსნისადმი დადასტურდა 1909 წელს,როცა ქ. ფოთში სახალხო პოეტს მოუწყვეს გრანდიოზული შეხვედა, ამ შეხვედრას იონა მეუნარგიასთან ერთად ესწრებოდნენ ცნობილი მოღვაწეები. გულში ჩაითბილეს ხანდაზმულ მგოსანი და გადასცეს ულევი სითბო და სიყვარული.

ბორის დავითაია

რედაქციისაგან:

2005 წლის ივლისში,„კოლხეთში“ გვესტუმრა ელისაბედ ბედიას შვილი ადვოკატი ჟორა ჭანტურია, რომელმაც მოგვიტანა უნიკალური ფოტო და მოგვაწოდა ინფორმაცია მშობლებზე. გთავაზობთ ამონარიდს მისი ნაამბობიდან, ვფიქრობთ ფოტომასალა და ეს ინფორმაცია უფრო საინტერესოს გახდის მწერლის ბორის დავითაიას მოძიებულ მასალას. (ჟორა ჭანტურიას ნაამბობი)

„დედაჩემი– ელისაბედი ლამაზი, კეთილშობილი და ღვთის მოშიში ქალი გახლდათ. იგი სენაკის მაზრაში წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი იყო. საზოგადოებას თავმჯდომარეობდა ქალბატონი ოლია ხოფერია. ისინი დადიოდნენ მოსახლეობაში. უკითხავდნენ ლექსებს, იგავ-არაკებს, მოთხრობებს, ასწავლიდნენ წერას. ცდილობდნენ უყურადღებოდ არავინ დაეტოვებინათ, ინდივიდებისათვის ხელის მოწერა მაინც ესწავლებინათ.

„მამაჩემი ალექსი ჭანტურია რუსეთის მეფის კარზე მიღებული პიროვნება იყო. საერთოდ გილდ ვაჭრები მეფის სასახლეში წელიწადში ერთხელ იკრიბებოდნენ და ეკონომიკურ საკითხებზე ბჭობდნენ. მამაჩემს მოვლილი ჰქონდა მთელი ევროპა, ფლობდა რამდენიმე უცხოურ ენას. იგი ბევრს მოგზაურობდა, ახდენდა საქონლის გაცვლა-გამოცვლას. თავად დახლში არასოდეს ჩამდგარა. მისი ნდობით აღჭურვილი პირი იყო უფროსი ნოქარი დიანოზ ხორავა. მას ექვსი სავაჭრო ობიექტი ჰქონდა ქალაქის ცენტრში (ყოფილი საგზაო პოლიციის მიდამოებში). სასაწყობო მეურნეობა კი განთავსებული იყო იქვე ახლოს (ყოფილი ღია კინოთეატრის ტერიტორიაზე). მამა და დედა ბუნებით გულუხვები იყვნენ. ბევრი შეჭირვებულისათვის გაუწვდენიათ დახმარების ხელი. როგორც ჩემთვის ცნობილია სენაკში სტუმრად მყოფ აკაკი წერეთელს სუფრასთან ექსპრომტად მიუძღვნია ლექსი მშვენიერი ქალბატონისთვის ესეიგი დედაჩემისთვის. ამ ფაქტზე დიდხანს ყოფილა საუბარი სენაკის იმდროინდელ საზოგადოებაში” (გიორგი (ჟორა) ჭანტურიას ნაამბობი).

პოეტ ლანდა მასხულიას მეშვიდე წიგნის „სულისთქმა“ -პრეზენტაციაზე

23 ივნისს 17 საათზე, სენაკის სამხატვრო გალერიის საგამოფენო დარბაზში გაიმართა საქართველოს მწერალთა კავშირისა და ჟურნალისტთა ფედერაციის წევრის, ფაზისის აკადემიის აკადემიკოსის, სამეგრელო ზემო სვანეთის დამოუკიდებელი გაზეთის „თავისუფლების მრწამსით“ რედაქტორ-გამომცემლის პოეტ ლანდა მასხულიას მეშვიდე წიგნის „სულისთქმა“ -პრეზენტაცია.

ღონისძიების მონაწილეებმა ინტერესით დაათვალიერეს ლანდა მასხულიას ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი ფოტომატიანე, რომლის მომზადებაში დიდი წვლილი შეიტანა ფოტოსალონ „კოდაკის“ ხელმძღვანელმა ლაშა გვასალიამ.

ღონისძიების წამყვანებმა ანი ნადარეიშვილმა, თამუნა გვარჯალაძემ და ნიკო კაჭარავამ დამსწრე საზოგადოებას გააცნეს ლანდა მასხულიას ბიოგრაფიის მნიშვნელოვანი შტრიხები. სიმღერები შეასრულეს ცნობილმა ქართველმა მომღერალმა ეკა კვალიაშვილმა, სენაკის ვაჟთა ვოკალურმა ჯგუფმა თემურ ცხაკაიას, თამაზ ეჯიბიას, ბიჭიკო თუნთიას და მერაბ ლომაიას შემადგენლობით. ვოკალური ჯგუფის სიმღერის ტექსტი ეკუთვნის ლანდა მასხულიას.

ქალბატონ ლანდას 64 წლის იუბილე, წიგნისა და ჟურნალ „ჯი ემ სთარის“ გამოცემა მიულოცეს სენაკის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ გრიგოლ ბაღათურიამ, მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილემ ბესიკ ნარმანიამ, მწერალმა ჭაბუკ ქოიავამ, პოეზიის თაყვანისმცემლებმა: ლუარა ჯიქიამ, ინგა თუნთიამ და სხვებმა. ლანდა მასხულიას ვაჟმა სამოდელო სააგენტო „გოლდენ ბრენდისა“ და „ბოდიარტ ჯორჯიას“ დამფუძნებელმა გიორგი მასხულიამ მილოცვასთან ერთად დაანონსა, რომ ივლისის ბოლოს ვარშავაში გაიმართება წიგნისა და ჟურნალის პრეზენტაცია. საღამოს მუსიკალური და ქორეოგრაფიული გამფორმებელი გახლდათ ვეფხვია გორგოძე. ღონისძიებას ესწრებოდნენ სხვადასხვა ქალაქებიდან მოწვეული სტუმრები, პოეტები, ადგილობრივი და რეგიონალური მედიის წარმომადგენლები, პოეზიის მოყვარულები. დასასრულს, პოეტმა ლანდა მასხულიამ მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას და წაიკითხა საკუთარი ლექსი.

ლანდა მასხულიას ბიოგრაფიული შტრიხები ასეთია: დაიბადა 1954 წლის 3 ივნისს ქალაქ სენაკში, მოსამსახურის ოჯახში. 1971 წელს წარჩინებით დაამთავრა ქალაქ სენაკის მეშვიდე საშუალო სკოლა, ხოლო 1976 წელს აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. პარალელურად ქალაქ თბილისის უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტი. 1980 წელს თბილისის იურიდიული ინსტიტუტის სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი. 1980 წელს მუშაობა დაიწყო გაზეთ „თბილისის” რედაქციაში კორესპონდენტად, 1982-87 წლებში მუშაობდა საქართველოს ტელევიზიის პირველი არხის სახალხო მეურნეობის განყოფილებაში რედაქტორად, ხოლო 1987-91 წლებში –გაზეთ „კრიმინალურ ქრონიკაში”-კორესპონდენტად. 1991-1998 წლებში იყო გაზეთ „შანსის” კულტურის განყოფილების ხელმძღვანელი, 1998 წელს დაარსა გაზეთი „კერძო დეტექტივი”. 1980 წელს დააფუძნა გაზეთი „მრწამსი”, (ამჯერად „თავისუფლების მრწამსით“), რომლის უცვლელი მთავარი რედაქტორია დღემდე. 1982 წელს მისი თაოსნობით გამოიცა მეგრულენოვანი გაზეთი „ტორონჯი”. 1995 წლიდან მუშაობა დაიწყო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო განყოფილებაში განსაკუთრებულ საქმეთა გამომძიებლად. ამავე წლიდან არის ადამიანთა უფლებებისა და პატიმართა სოციალური უზრუნველყოფის საერთაშორისო ორგანიზაციის საკოორდინაციო საბჭოს წევრი.

ლანდა (მზია) მასხულია თანამშრომლობდა ცენტრალურ მედიასაშუალებებთან. არის მრავალი ლექსის, პუბლიკაციის, ნოველისა და ჩანახატის ავტორი. აქტიურად იყო ჩაბმული ეროვნულ-განმანთავისუფლებელ მოძრაობაში არის აფხაზეთის ომის მონაწილე (მონაწილებდა ლაბრის, ტამიშის და გაგრის ბატალიებში). აქვს სხვადასხვა სფეროში მუშაობის 45 წლიანი გამოცდილება. იგი კითხულობდა ლექციებს სენაკის ჰუმანიტარულ და აფხაზეთის ცოტნე დადიანის სახელობის ჰუმანიტარულ ინსტიტუტებში.

ქალბატონ ლანდას ერთადერთი ვაჟი გიორგი მასხულია, პროფესიით იურისტი, წარმატებულად მოღვაწეობს სამოდელო სფეროში და გაბედულ ნაბიჯებს დგამს ჟურნალისტიკაში. ახლახან მისი რედაქტორობით გამოცემული ჟურნალი „ჯი ემ სთარი“ ფერადი ბეჭდვითაა და მაღალ პოლიგრაფიულ დონეზეა შესრულებული.

ლანდა მასხულიას პოეზიის კრებულში „სულისთქმა“ შესულია ბოლო წლების ლექსები. ლექსების მთავარი თემა გახლავთ ქვეყნისა და მშობლიური კუთხის სიყვარული, რითმებში იკვეთება ახლობელი ადამიანების მონატრება, ფიქრები ამქვეყნიური ყოფის საზრისზე, ნოსტალგია განვლილ წლებზე.

ვულოცავთ პოეტს წიგნისა და ჟურნალის გამოცემას, ვუსურვებთ ჯანმრთელობას საყვარელ შვილთან ერთად ახალ შემოქმედებით წარმატებებს, ნაყოფიერ ლიტერატურულ და ჟურნალისტურ მოღვაწეობას.

მაია შონია,
მარიკა მიქაბერიძე

***

ერთ კრამიტს დავდებ
სამშობლოსათვის,
მეძახის ჩემი ზინაპრის სული...
ძალმორეული ლომის თათებით
მინდა ბავათბო ჩემი მამული.
რა ეშველება ჩემს სულისტკივილს,
ქართული ჯიში სამად გაიყო.
და ვინ გაიგებს პოეტის ჩივილს,
ან უფლის ძალა ნეტავ სად იყო?
ღვარძლი ედება ზოგიერთ მავანთ
რა ბზიკი გვაზის ან რა მტრობაა?
ან რა გაუძლებს მავანს და ჩავანს
მათთვის სიმუხთლე სულის ტკბობაა...
სად არ მიდიან ჩემი ფიქრები,
ჩაბრულ სამშობლოს ზედვე დავსტირი,-
მაწვიმს ნელ-ნელა და ჩუმად ფიქრები...
ვეღარ გაჰკივის ჩემი საყვირი:
საით მივდივართ, თითქოს სატანა
ჩაბუდებულა მონაზვნის სულში,
მანტია მისი ვერ ავიტანე,
ისარი გამკრა ამ დაჭრილ გულში.
მე მეციხოვნე, ღმერთს ვევედრები,
გადამირჩინე ჩემი სამშობლო,
უკვე ვერავის ვეღარ ვეღრები,
დამალოცინე ჩემი შობილი.

აფხაზეთის თოლიებო!

ფსოუს ფსკერზე თევზებს ვითვლი,
ბიჭვინთაში მარგალიტებს...
ზღვა ისევაც სალამს მითვლის,
ვეფვერები ფერად სიზმრებს...
ვინ წამართვა აფხაზეთი?
ან ვინ ჩადგა ჩემს ცოდვაში,
კიდევ კარგი ვარ ლაზეთში
ღმერთი მწყალობს მის კალთაში.
აფხაზეთის ზეცას ვფიცავ,
მის კარიბჭეს მხნედ დავიცავ...
ვეფვერები ფერად სიზმრებს
ზღვაში ნაპოვნ მარგალიტებს.
როგორ მინდა ერთხელ გნახო,
აფხაზეთო, ფრთანათელო...
და ფრესკაზე გარდმოვსახო
შენი მთები სანატრელო!
მენატრება რიწის ტბა და ...
მისი მწვანე თურინჯები,
ლამაზი და ერთოგ სადა
ლურჯი ზღვა და ნარინჯები.
როდის გნახავ მეგობარო,
გურგულიავ, შერვაშიძევ...
იქნებ კოცნა დაგაბაროთ
თქვენს მაგიერ სხვას ვერ ვიძენ.
ეს ნატვრა და მოგონება
მინდა სულსწრაფ შემისრულდეს,
და მოგძღვრავდეთ შეგონება
შევრიგდეთ და აღარ გძულდეთ!
მენატრებით მეგობრებო,
თარგებო და გულიებო,
ჩემო ძმებო, ჩემო დებო,
აფხაზეთის თოლიებო!

ლანდა მასხულია

წლები, წლები. . .

ცხოვრების დროთა ცვლას წლები ინახავს. მიმდინარე წლის 30 მაისს ჟიული შარტავას სახელობის სენაკის მხარეთმცოდნეობის მუზემში გაიხსნა გამოფენა „წლები წლები", სადაც წარმოდგენილი იყო ფოტომასალები ხელოვნების ცენტრის მუსიკათმცოდნის, სენაკის საპატიო მოქალაქის ლია ქობალავას პირადი არქივიდან. დამთვალიერებლებს ჰქონდათ შესაძლებლობა გაცნობოდნენ ჩვენი ქალაქის ცხოვრების გარკვეულ ეტაპებს. აღსანიშნავია, რომ ასეთი შინაარსობრივი დატვირთვის გამოფენა პირველად გაკეთდა მუზეუმში.

ჩვენი ქალაქის კულტურული ცხოვრება იმდენად შემოქმედებითი იყო, ცნობილი პიროვნებები გულით ეხმიანებოდნენ და იზიარებდნენ ღირშესანიშნავ დღეებს.

რაიონის ხელმძღვანელობის თხოვნით ქალბატონ ლიას ხშირად უწევდა მასპინძლობა გაეწია რაიონში ჩამოსული საპატიო სტუმრებისათვის. ფოტოზე აღბეჭდილი ეს ურთიერთობები ღირებულია სენაკის ისტორიისათვის.

გამოფენაში სულ ჩართული იყო 270 ფოტო, აქედან ნაწილი აიტვირთა სლაიდის სახით.

გამოფენის აწყობასა და ტექნიკური მხარის უზრუნველყოფაში უდიდესი შრომა ჩადეს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომლებმა, თეიმურაზ რეკვავამ, კოვალი ხუნწარიამ, ლერი კართხიამ.

გამოფენა გახსნა მუზეუმის ფონდების მცველმა გრიალა ანთიამ.

ქალბატონმა ლია ქობალავამ დამსწრე საზოგადოებას გააცნო თითოეული ფოტოს შინაარსი და მნიშვნელობა, მონიტორზე ერთმანეთს ცვლიდა სურათები სადაც აღბეჭდილი იყვნენ გამოჩენილი ადამიანები: ანდრია აფაქიძე, ლექსო თორაძე, სულხან ცინცაძე, ზურაბ ანჯაფარიძე, ვაჟა აზარაშვილი, თამარ ჩარექიშვილი, ქსენია ჯიქია, ანზორ შომახია, ჭაბუა ამირეჯიბი, გიგა ლორთქიფანიძე, ვერიკო ანჯაფარიძე, ირაკლი უჩანეიშვილი, თენგიზ არჩვაძე, ქეთევან კიკნაძე, ოთარ მეღვინეთუხუცესი სენაკელებთან ერთად.

30 მაისის ღონისძიებას ესწრებოდნენ კულტურისა და განათლების სფეროს წარმომადგენლები, ღირსეული სენაკელები.

გამოფენის ღირებულებასა და მნიშვნელობაზე ილაპარაკეს მოსწავლე - ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის დირექტორმა ლევან უჩანეიშვილმა და ხელოვნების ცენტრის დირექტორმა ვეფხვია ვეფხვაძემ.

ემოციური იყო ლუარა ჯიქიას, ზაირა ფაჩულიას, დამირ ზარანდიას, ზაზა ჯანჯღავას, ინეზა ღვინჯილიას, კოვალი ხუნწარიას, როენა კორშიას გამოსვლები.

მუსიკალური ნომრები წარმოადგინეს: ხელოვნების ცენტრის პედაგოგმა ნათია შურღულაიამ, მოსწავლე ალექსი გვასალიამ და პედაგოგ ანი გოგიტიშვილის მოსწავლემ ანა-მარია ღვინჯილიამ, ხალხურ საკრავთა ანსამბლმა „მორდუ"-მ ლალი გოგიას ხელმძღვანელობით.

საინტერესო იყო 7 ივნისი - გამოფენის დახურვის დღე. ეს იყო სენაკის ისტორიით დაინტერესებულ პირთა თავმოყრა მუზეუმში.

ლია ქობალავას, ზაირა ფაჩულიას, მზია ბარქაიას, ედიშერ ბაღათურიას, მხარეთმცოდნეობისა და ჟიული შარტავას მუზეუმების თანამშრომლების, მერაბ ყურაშვილისა და ზაზა ჯანჯღავას მონაცვლეობითი საუბარი შეეხო ჩვენი სენაკის ტერიტორიაზე არსებულ სამრეწველო ობიექტებს, რომლებიც დღეს აღარ ფუნქციონირებენ.

პირველი აგურ-კრამიტის ქარხნის მშენებლობა დაკავშირებულია ცნობილ ინჟინერ დომენტი ქობალავას სახელთან, რაც ქალბატონ ლიას აღწერილი აქვს წიგნში "ჩვენი მშობლების სენაკი".

ქალბატონმა ლიამ გადმოგვცა აგური, რომელიც ვარაუდით არის აგურ- კრამიტის ქარხნის პირველი გამოშვება, თან გამოთქვა სურვილი სამრეწველო ობიექტების პროდუქციის ნიმუშებს ექსპოზიციაში დაეთმოს კუთხე. ბატონმა მერაბ ყურაშვილმა პირობა შეასრულა და მუზეუმს საჩუქრად გადასცა ცხაკაიას ხალიჩების კომბინატში მოქსოვილი"მარიამ ღვთისმშობელი ყრმით". ჟიული შარტავას მუზეუმის მეცნიერ მუშაკმა ნანა ფირცხალავამ მუზეუმს გადასცა მარსელის კრამიტის ნიმუში, რომელსაც აქვს ფირმის წარწერა' „ANDREOLITTI KSANKA." ჩვენი ქალაქის შენობა-ნაგებობების ნაწილი ამ ტიპის კრამიტით იყო გადახურული.

ბატონი რეზო ჯანჯღავა თვლის, რომ ნოსირის აგურ-კრამიტის ქარხანა პირველი სამრეწველო ობიექტი იყო დასავლეთ საქართველოში, რომლის პროდუქციით მარაგდებოდა მეზობელი რაიონები.

საგულისხმოა ბატონ ედიშერ ბაღათურიას მინიშნება, რომ ქალაქის სახლების უმეტესობა წითელი აგურითაა ნაშენი. ეს იმდენად თვალში საცემია, რომ შეიძლება ქალაქის იდენტურობის ერთ-ერთ ნაწილად ჩაითვალოს.

ბრიალა ანთია-მირბატია,
სენაკის მხარეთმცოდნეობის
მუზეუმის ფონდების მცველი

ღირსეულის დაფასება

დაფასება ჰქვია იმას, როცა პიროვნების ღვაწლს, მის მშობლიურ მხარეში, ჩვენში „ოდაბადე " რომ ჰქვია , მოწიწებითა და მადლობის სიტყვებით აღნიშნავენ.

ვახტანგ დავითაია საქვეყნოდ ცნობილი არქიტექტორია. სახელმწიფო და რუსთაველის სახელმწიფო პრემიის ლაურიატი . არაერთი საერთაშორისო კონკურსის გამარჯვებული და მრავალი ქვეყნის მეცნიერებათა აკადემიის წევრი. მისი სულიერი სამყარო, მისი შინაგანი მე, და თვით მთელი მისი ცხოვრება ,ერთი მთლიანი გვირგვინია, რომელსაც ამაყად ატარებს მხცოვანი შემოქმედი .

ამიტომ იყო მშობლიურმა სენაკელებმა თავი მოიყარეს, სახელოვანი არქიტექტორის წიგნის განხილვაზე, იმ წიგნებისა რომლებით დიდი ადამიანური შთაგონებითაა შექმნილი და სათუთად მოტანილი მკითხველამდე. რომლებიც დროის ულმობელ ჭიდილში ჩამოიქნა . სადაც ჩაქსოვილია ავტორის ნიჭიერება, ინტელექტი, ერუდიცია და პროფესიისადმი უსაზღვრო სიყვარული.

მისივე სიტყვებით, რომ ვთქვათ „ ვწერ ისევე, როგორც ვფიქრობ, ვლაპარაკობ ისე როგორც ვფიქრობ. მე არ მიზრუნია იმაზე, როგორ ვთქვა, ჩემი მიზანი არასდროს ყოფილა სიტყვასთან ჭიდილი " თუმცა, შესანიშნავ გამოცემებში, რომელთა სათაურია „ცხოვრების ფურცლები", - ორი ტომი „ჩანაწერები", „იაპონური დღიურები", „ავტორიტარიზმის არქიტექტურული ანატომია " და სხვა ,ნამდვილად ავლენს ავტორი სიტყვასთან ჭიდილის ოსტატობასა და შესაძლებლობებს.

რაიონული ბიბლიოთეკის სავსე დარბაზში, სადამო „ წიგნების პრეზენტაცია " გახსნა ლუიზა კემულარიამ. მან სენაკის საზოგადოებას, ვ. დავითაიას ყოფილ სტუდენტებს, მეგობრებს, მეზობლებსა და წიგნის მოყვარულებს წარუდგინა ავტორის ნაშრომები, რომლის გამოფენა წინასწარ მოაწყვეს და აღნიშნა, რომ ეს წიგნები ვახტანგ დავითაიამ უსასყიდლოდ უძღვნა ბიბლიოთეკას. აღნიშნა, რომ ბიბლიოთეკის კედელს ამშვენებს მისივე ინიციატივითა და ხარჯებით მოწყობილი დაფა წარწერით „ გმადლობთ ჭაბუა"

ღვაწლმოსილმა სენაკელმა, ზაირა ფაჩულიამ მიმოიხილა წიგნები „ ჩანაწერები ", და „ ცხოვრების ფურცლები " და საზოგადოებას გააცნო ფრთიანი და საზრიანი ამონარიდები წიგნებიდან.

„ ხელოვნებაში ბევრი რამაა სადაო, მხოლოდ სპორტშია ერთი სისწორე, გაიმარჯვე და მორჩა, დაიპყარი ჯომოლუნგმა და მორჩა "„ ჭიდან წყალი ვედროთი ამოიღე და არა საცრით "„ ჩემთვის კანონიერია ის, რაც გამოადგება ჩემს ქვეყანას, ამ უმძიმეს დროს, ის რაც აძლიერებს საქართველოს" და სხვას. აღნიშნა ბატონ ვახტანგისა და მოქანდაკე ვაჟა მელიქიშვილის პროფესიული მეგობრობის შესახებ, რომლებმაც შექმნეს სენაკის უნიკალური მემორიალი „კუბი "

მწერალმა ბორის დავითაიამ სიმაყით აღნიშნა , რომ ბატონი ვახტანგი ჩვენს გვარში გამორჩეულია , რომ მშობლიურ ქალაქში მისი ინიციატივით დაპროექტდა „მემორიალი კუბი " , „სამხატვრო გალერეა" , „ გმირი, წურწუმიასა და ცნობილი პოეტ ჭალადიდელის ძეგლები" და არა ერთი სხვა. მან მიმოიხილა წიგნი „იაპონური ჩანაწერები", ასევე ისაუბრა „ავტორიტარიზმის არქიტექტურული ანატომიის „ შესახებ, სადაც ავტორს განხილული აქვს, 2004 წლიდან 2016 წლამდე საქართველოში აშენებული ყველა არქიტექტურული ძეგლი და გამოთქმული აქვს ღრმა შინაარსიანი პროფესიონალური დასკვნები, მათ ესთეტიკურ და მხატვრულ ღირებულებებზე. ბატონი ვახტანგი ბრძანებს : „ რას ნიშნავს ეროვნულობა არქიტექტურაში ? არქიტექტურული ატმოსფერო ისე უნდა იყოს წარმოდგენილი, რომ გრძნობდე უწყვეტ კავშირს ერის სულიერ და მატერიალურ კულტურასთან " შეუძლებელია ამას არ დაეთანხმო.

დამსწრე საზოგადოების წინაშე წარსდგა სენაკის ყოფილი მთავარი არქიტექტორი ზურაბ პატარაია , რომელმაც სიამოვნებით გაიხსენა ბატონ ვ, დავითაიასთან საქმიანი ურთიერთობა და მადლობა მოახსენა მას, რაიონის მატერიალური კულტურის ძეგლების აღდგენის ზრუნვისთვის.

მხატვარმა, პედაგოგმა ზაზა ჯანჯღავამ აღნიშნა, რომ ის იყო ბატონ ვახტანგის სტუდენტი და თანამშრომელი. განსაკუთრებით ხაზი გაუსვა მისი პედაგოგის და ადამიანურ თვისებებს.

სენაკის საპატიო მოქალაქემ დამირ კუჭავამ ნიშნად მადლიერებისა, ვ. დავითაიას, ლექსი მიუძღვნა, რომელიც ასე სრულდება: „მთელი სამყარო დაამშვენეთ საკვირველებით, თან ეფერებით თქვენს მშობლიურ ტაძარ- ნაციხარს, პატივისცემით გაგიბედავთ სენაკელები, ბატონო ვახტანგ, თქვენ ნამდვილად დიდი კაცი ხართ ."

ექიმმა დამირ ზარანდიამ, კულტურის ცენტრის წარმომადგენელმა ლერი კართხიამ, პოეტმა გული კირცხალიამ, ვ, დავითაიას დისშვილმა ნატო ყურაშვილმა-, ჟ. შარტავას მუზეუმის მთავარმა სპეციალისტმა მარინე აბრამიამ და სენაკის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის დირექტორმა ლევან უჩანეიშვილმა ისაუბრეს წიგნის მნიშვნელობაზე, იმაზე, რომ ვახტანგ დავითაიას შემოქმედებითი სამყაროში მთავარი მარტო სულის დანახვა და აღქმა არაა მთავარი, არამედ უხილავის წვდომა, ახალი, მოწინავე, ევროპული იდეების შემოტანა არქიტექტურაში, ის გახლავთ სამყაროს მშვენიერების საიდუმლოს წვდომის უნარით დაჯილდოვებული. სწორედ ეს ჩანს თითოეულ წიგნში, სწორედ მითისა და სინამდვილის საოცარი წნულია გამოცემები, რომლის წაკითხვა გიზიდავს, გმუხტავს და ესთეტიკურ შეგრძნებას გიმძაფრებს.

აზა ბარუჩავა

მუზეუმს გადაეცა

სენაკის ჟიული შარტავასა და მისივე სახელობის მხრეთმცოდნეობის მუზეუმებს სტუმრობდა ჟიული შარტავას ოჯახის წევრი, ნუნუ ალასანია-შარტავა. მან დაათვალიერა საგამოფენო დარბაზები, მადლობა გადაუხადა თანამშრომლებს ჟიულის ხსოვნისათვის ზრუნვაზე და მუზეუმს საჩუქრად გადასცა შარტავების ოჯახის რელიქვიები: ჟიულის ცხოვრების სხვადასვა პერიოდის ამსახველი ფოტოები, სუვენირები, წერილები, წიგნები და მრავალი სხვა ნივთი.

მარინე აბრამია

ვიკვლევდი ფიქრთა სამყაროებს უცხო მზვერავი; შალვა კუჭავა (პონტოელი)

„ნივთების როკვა“ – ასე ჰქვია წიგნს, სადაც რამდენიმე ლექსია გაერთიანებული. ავტორის ბიოგრაფიას კარგად ასახავს ეს პოეტური კრებული, როგორც წარსულის – უკვე ჩავლილისა და განცდილის, ერთგვარი გახსენება აწმყოში სიფხიზლისათვის. საოცარი მუსიკალურობა და ჟღერადობა, სისადავე და სიღრმე გამოარჩევს შალვა კუჭავას (პონტოელის) ლექსებს. ამ სისადავის მიღმა მკაფიოდ იკვეთება შემოქმედის უაღრესად გამორჩეული, რთული და წინააღმდეგობებით დაღდასმული სულიერი სამყარო. მთავარი სათქმელი წიგნის სათაურშივე ფოკუსირდება. ავტორის უპირველესი საწუხარიც თითქმის ყველა ლექსში სხვადასხვა ფორმითაა გამჟღავნებული.

შალვა კუჭავას ფიქრების უმთავრესი სანიშნე ამქვეყნიური, პირველყოფილი, ხელთუქმნელი სილამაზეა. სასრულობასა და უსასრულობას შორის მსაჯულივით ჩამდგარი პოეტის აზრით, ბუნებასთან დაპირისპირება, მის მიმართ უპატივცემლო დამოკიდებულება იწვევს ადამიანში ესთეტიკური საწყისის, პოეტური სულისა და მშვენიერების აღქმის გაქრობას.

სინათლითა და სითბოთი სავსე მელოდია შეიგრძნობა თითოეული ლექსის კითხვისას. წარმოიდგენ პოეტის უმძაფრეს განცდებს: ქალაქი ერთფეროვანი და უსიცოცხლო რიტმით სუნთქავს; ისტერიულად აყვავებულ, მტვრიან ქუჩებში ბავშვობასთან ერთად დაეხეტება და ენატრება ჩავლილ დღეებთან სულის მოსათქმელად მიბრუნება. პოეტის ბავშვურად უმანკო სული სავსეა პირველხილულ საგანთა კაშკაშა სინათლითა და მონატრებული ბავშვობის დღეებით, რადგან, იქ, ბავშვობაში დარჩენილა პირველყოფილი სიწმინდე და მშვენიერება; გული კვლავ ტეხურის ნაპირებისკენ მიუწევს; შორეული წლებიდან გამოყოლია ტყეში ჩასახლებული მითებისა და ზღაპრების სიყვარული; კავკასიონის მთებზე რკინის ჯაჭვებით მიბმული ამირანის მიმართ სიბრალულის გრძნობაც იმდროინდელია; ზამთრის მკაცრ სიცივეში, ბუხრის პირას, გოლიათზე მოსმენილი თქმულება შთააგონებს, სიცოცხლის უკანასკნელ წლებში დაწეროს ეპოსი ამირანზე და ამით თავი დააღწიოს მეხსიერებაში მტკიცედ აღბეჭდილ უცნაურ და უჩვეულო ხმებს, სოფლის ტყეებისა და ღრანტეების იდუმალ წიაღში რომ მოუსმენია და ამ ხმების შემაკრთობელი განცდით გულშეძრულს დღემდე ძილს უფრთხობს და მოსვენებას უკარგავს.

ქალაქის ექსპრესიული, თავბრუდამხვევი ცხოვრებით ქანცგაწყვეტილს თვალწინ დაუდგება ხსოვნაში ფოტოასლებად დარჩენილი და მშვენიერების მათრობელა სურნელით გაჟღენთილი სოფელი; მტანჯველი ფიქრების აღმძვრელია დიდი ქალაქი თანამდევი მარტოობით, პომპეზურ ფასადს მიღმა არსებული სიცარიელითა და მშრალი უსასრულობით; ამიტომ ცდილობს, გაექცეს აწმყოს, ქალაქური ყოფის სულისშემხუთველ და პროზაულ სოციალურ ატმოსფეროს; დრამატულია და უნუგეშო წარსულში დაბრუნებაც, მაგრამ მან იცის, რომ მომხიბვლელია წარსული, როგორც „მთელი ძველი ფილოსოფია ოხვრა-ვაების და აცვენილ ცრემლთა ციბრუტის“ („მოკითხვა სოფელს“); სოფლის მორალურ კლიმატს შესისხლხორცებია მისი სული; ამიტომ ზის და ფუნჯით ნათელ ფერებში ხატავს პოეტური შთაგონების სამყაროს – ბავშვობისდროინდელ შთაბეჭდილებებს; ხატავს ბუნებასთან, მიწასთან ახლოს მყოფ ადამიანებს – ზნეობრივებსა და ჭეშმარიტი სულიერი სილამაზის მატარებლებს; ისინი უფრო ღრმად და შინაგანად შეიგრძნობენ ბუნების პულსაციას, პირველქმნილ მშვენიერებას; სწორედ ამ მშვენიერებასთან სიახლოვე და უხილავი ძაფებით კავშირია შემოქმედის სულიერი მდგომარეობის კრიტერიუმი; მთისკალთებიდან ბარტყივით აფრენილი სიო და ხრამში ამეტყველებული თეთრი ღამეები შეახსენებს, რომ ისიც საერთო-უნივერსალური ყოფიერების – ბუნების ნაწილია; მოლზე კერპივით გაშიშვლებული ვაჟკაცი გაჰყურებს ხრამებსა და ზღაპრულ აფრებად გადმოშლილ მთაგრეხილებს; სულში უფაქიზეს სითბოდ ეღვრება ნაკადულების სიმღერები.

„მოსჩანდა მთვარე, სივრცეებით გადატკეპნილი
და მარაოებს ბალახებში არხევდა ღამე.
ჩემს წინ დგებოდნენ გუმბათები ურიცხვ ქვეყნების,
ვიკვლევდი ფიქრთა სამყაროებს უცხო მზვერავი;
ოსჩანდნენ მთები მიწის ზურგზე მწვანე კეხებად
და მერანივით ნავარდობდა ქარი ვერანი...“

ქალაქის ყოველდღიური, ერთფეროვანი ცხოვრების რუტინასთან შეგუება, „მანქანების კვამლით გაბერილი“ ქუჩებისა და როსკიპივით დაკორტნილი მთვარის ხილვა სულიერი მარტოობის განცდას უძლიერებს პოეტს; უნუგეშო წარსულისკენ პირშექცეული პაპიროსივით აბოლებს დღეებს და მაშინ,

„როდესაც გული აქშინდება როგორც საკირე,
ავღრიალდები ქვაფენილზე მშიერ მგელივით,
ან ვედარები ინდოეთის მფრინავ ფაკირებს.“

ქალაქის გაუცხოებული და ობივატელური ატმოსფერო „შეახსენებს“, რომ ნამდვილი ფასეულობებისათვის აქ ადგილი არ არის, რომ ნივთების როკვაში შეუძლებელია იგრძნო ბუნებასთან, როგორც პირველსაწყისთან, სიახლოვე და ერთიანობა. ინდუსტრიულ ცივილიზაციას სტანდარტული ბედნიერება ახასიათებს, რაც მიუღებელია მისი ფაქიზი სულისათვის; გრძნობს, რომ ქარხნების საყვირი და ფოლადის ღვედები დეჰუმანიზირებულ ზეგავლენას ახდენს ადამიანის შინაგან სამყაროზე: „სხეულზე ფოლადის ღვედები გვეხვევა და გვბურავს მღელვარე ნივთების ზღვა“ („მგზავრობა სოფლიდან ქალაქში“), მაგრამ პოეტს ისიც მოეხსენება, რომ ტექნიკური პროგრესისგან „განზე დგომა“ და კარჩაკეტილობა, გარესინამდვილისაგან გაქცევა შეუძლებელია იმდენად, რამდენადაც თავად ცხოვრებაა ადამიანის წარმმართველი ძალა.

„ეხლა, დაიკო, ვინც შეჩერდება
ახალ ბილიკზე ძველი ხოტბებით;
დაუწყებს ქარის წისქვილს შეტევას
ლამანჩელ რაინდ დონ-კიხოტივით.
უკან მოხედვა არას გვარგია,
რომ არ ვაბარებთ წარსულს ანგარიშს;
დღეს სამარაგო ნივთთა ბარგია
მთები ოდესღაც ნააბრაგალი,“

– წერს პოეტი დისადმი მიძღვნილ ლექსების ციკლში.

ყოფის ეკრანზე დინჯად ჩავლილი წარსული ცხოვრების ახალმა სტილმა შეცვალა:

„და მოვა ქვეყანა, უძირო, ახალი,
სადაც გზა ცეცხლია, რკინები ზღვა...“

და რომ

„ბრჭყვიალა ჩანჩქერმა სხეული შეღება
და ახალ ცხოვრების ვკითხულობთ წიგნს.“

(„მგზავრობა სოფლიდან ქალაქში“).

თავისი დროის უამრავ საფიქრალზე კონკრეტული პასუხი შ. პონტოელის არაერთ ლექსში გვხვდება.

„თან ეუბნება: – გოგო ღარიბო!... შენ გაგონდება ცხოვრება სოფლად!

მამაშენს ყავდა კარგი ხარები და იწურავდა ცხოვრებას ოფლად!

ზოგჯერ ღელეში თევზებს იჭერდი, ანკარა წყაროც მოგქონდა თასით

და ფეხშიშველი სოფლის ბიჭები ცოცხალ თაიგულს გაფენდნენ თავზე...

მაგრამ ჩემს ლექსსაც დაუგდე ყური!.. სულ სხვაგვარია ჩემი რომანსი,

იქ უდარდელად ზეცა გეხურა, აქ კი ოცნებობ კეთილ შრომაზე.

მიმოიხედე!... აქ თამაშია, ყოველ თამაშზე უფრო მაგარი!

იქ ბალახებში სძინავს მამაშენს, აქ-კი სჩქეფს ბრძოლის ნაამაგარი.“

(„ქალაქი წუთით“)

არქაულ სოფლურ ცხოვრებასა და ქალაქურ ცხოვრებას შორის გამართული ბრძოლა შალვა პონტოელის შინაგან სამყაროში მძაფრად მიმდინარეობს.

„ვარ ორ ნაწილად გაპობილი ადამიანი:
ერთი წინ გარბის და მეორე შესცქერის კულისს“,

– ეს ნაწყვეტია ლექსიდან „არდატევის მანდატი“.

ასეთივე განწყობაა შემდეგ სტრიქონებში:

„იყო თვალებში დამყარო ორი:
ერთი მხრით – სივრცე პლანეტებს შორის
და მეორე მხრით – ცრემლი ბავშვური;“

ან

„დედაო – დედა
დღეს შენი შვილი ორ მხარეს ხედავს
და დგას მათ შორის უცნაურ მხედრად“.

(„განგებ დაობლება თუ გამბედაობა?“)

წარსულის სასოწარკვეთილი ექო და აწმყოში არსებულ სინამდვილეზე აქცენტირებული შიშის სიმძაფრე გამოარჩევს ლირიკულ პოემას – „ქართული ღამე ევროპიულ ტფილისში“. ავტორის ფიქრებისა და განცდების დაფარული ტრაგიზმი და განწირულობის ინტონაცია მასში ისე იკვეთება, როგორც კონტურები ჩრდილების თეატრში. ტფილისის ცაზე გიდელივით დაკიდებული მთვარის ხელოვნური სხივები მეტეორივით დაცემია საქართველოს დედამდინარეს:

„დაეცა მძლავრად და შემოსძახა რაღაც საშიში, ცეცხლის არია:–

მთვარევს, ტარიელს ვედარ მონახავ, რადგანაც შოთა უკვე მკვდარია!

მკვდარია შოთა და ვეფხის ტყავით პოემის გმირებს არავინ ბურავს–

ზის დარეჯანი კაფეში ყავით და თინათინიც მიირთმევს ბურახს.

ავთანდილს ხელში უჭირავს ტროსტი და ტარიელი

მიათრევს პორტფელს,

რომ დაემსგავსა ნესტანი როსკიპს და ცხელ ქუჩებში ვნება აორთქლებს“.

დროის დინება, როგორც საშიში და მკაცრი რეალობა, მძაფრი განცდით შეიგრძნობა ზემოთ მოტანილ სტროფებში. ტექნიკური რევოლუციის შეუზღუდველი პროცესი ემპირიული გარდუვალობაა და, თავისთავად, რთულია მისგან თავდაღწევა, გაქცევა. ქალაქს აკლია ინტენსიური შინაგანი აქტივობა; მშრალი დღეების მდორე და უსიცოცხლო რიტმი აჩლუნგებს სულის გამძაფრებულ ენერგიას, რაც იწვევს შემოქმედში სევდის წახნაგების გაშიშვლებას; მაშინ სულის ფსკერში ჩალექილი შრეებიდან უსაშველო კაეშანიც ამოტივტივდება. მონოტონური, ცხოვრების ერთფეროვანი და მოწესრიგებული დინება სოციალურად სასარგებლო აქტივობის წინააღმდეგაა მიმართული. დროის დინებას გაჰყოლია სიმსუბუქე, ჰაეროვნება, რომანტიკულობა, სულიერი ცხოვრების ემოციური მთლიანობა.

შეუნიღბავ სიმართლესთან პირისპირ მდგარი ხედავს, რომ დაკარგულა სწორხაზობრივობის ნიშანი წარსულსა და აწმყოს შორის, ჩახშობილა „სულისმიერი ხმა“ და ტრადიციებისადმი ერთგულება. ამ პოემაში უაღრესად თანამედროვე ადამიანის თვალითაა დანახული მწარე რეალობა. პოეტი აზრობრივი და ემოციური თვისებების ერთობლიობით მკვეთრად განსაზღვრავს თავის პოზიციას. ესაა სკეპსისთან და პრაგმატიზმთან შეუგუებლობის გრძნობით გამოწვეული ტკივილი და ტკივილისგან ვერგაქცევის სევდა.

შ. პონტოელის წიგნში წარმოდგენილი ასოციაციები გარდასულიდან უფრო მეტად შეგვაგრძნობინებს უსუსურობის ჩაღამებულ სევდას:

„ამპარტავანო, უძლეველო და ქედმაღალო!..
დედამდინარევ, საქართველოს, დაუგეშელო!...
გშვენოდა ერთ დროს მისტიური, შორი დუდუნი
და ნაპირებზე ქალდეველთა მძლავრი კივილი....
დედურ ნანინით აძინებდი, მტკვარო, მაღალო!
შენს ნაპირებზე ატირებულს მგოსნების თარებს!
გახსოვს მურვანი, შაჰ-აბასი, ადა-მაჰმად-ხან;
თურქ-მონღოლების და ირანის ტირანის რისხვა...“

(„მტკვარი“).

დროის ულმობელ დინებას გაჰყოლია მტკვრის „მისტიური, შორი დუდუნი და ნაპირებზე ქალდეველთა მძლავრი კივილი“. საუკუნის შურდულით დაგლეჯილ დედამდინარისთვის ეპოქათა ცვალებადობას მკაცრი განაჩენი გამოუტანია და უკვე

„მტკვარო, მდინარევ საქართველოს, ტკბილო დედაო!
ჩამოღრჩობილო სხივთა ბოძზე ზვიად ზაჰესით!...
აგიხდა წყევლა, მოგინელა ცეცხლის ვეშაპმა,
ხარ უილაჯო, უსახსარო და უნუგეშო!“....

ეს ლექსიც, ისევე როგორც სხვა დანარჩენი, იმისთვის დაიწერება, რომ ურბანიზაციის გლობალური მოვლენებით სულის მოსალოდნელი გაუხეშებისაგან იხსნას პოეტმა ადამიანი. ესაა პოეზიის უპირველესი და უმთავრესი დანიშნულება, იმდენად, რამდენადაც სწორედ პოეზიაშია მოცემული დროის შესაფერისი პასუხი ადამიანის განწყობილებასა თუ სატკივარზე. შალვა პონტოელიც გამჭვირვალე და თავისთავადი პოეტური შთაგონებით, კრისტალური სიწმინდით, ერთგულად ემსახურებოდა ადამიანის სულის თვისებების გადარჩენისა და სიწმინდის დამკვიდრების ურთულეს საქმეს. შემოქმედებითი ცხოვრების მიზანდასახულობად ამაზე ფიქრი მიაჩნდა და გარდაცვალებამდე სტანჯავდა. თუმცა, სამწუხაროდ, მისი პოეზია, დრამატურგიული ნაწარმოებები ყოველთვის ლიტერატურის კრიტიკოსთა ყურადღების მიღმა რჩებოდა...

1960 წლის 6 მარტს ჩუმად, უხმაუროდ გაეცალა წუთისოფელს...

საბედნიეროდ, დროისა და გემოვნების დისტანციურობის წყალობით უფრო მეტად შევიგრძნობთ აუმღვრეველი სინათლის იმ ნაკადს, რაც ასე უხვად მოედინება შალვა კუჭავას (პონტოელის) პოეტური სამყაროდან.

იგორ კეკელია